სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი 23 ნოემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელ-ი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს ფასს ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, [illegible] ки. 199. Редакція „Эртоба" [illegible] გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 254 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 254

ღრმად დამწუხრებულნი სახალხო გვარდიის არტილერისტები აუწყებენ ამხანაგ-ნაცნობებს, რომ 20 ნოემბერს უეცრად გარდაიცვალა ამხანაგი

**ვალოდია არსენის ძე მუავანაძე.**

გამოსვენება მოხდება 21 ნოემბერს, 41 ლაზარეთიდან, პეტრე დიდის ქუჩა, დასაფლავება სოფ. ბასილეთში (გურია). (4—3)

გულ-დათუთქულნი დედ-მამა ეფიმე და არსენ, შვილებითურთ, ბებია ფიდოსი, ბიძები: რაჟდენ, სერგო და ტროფიმე, ბიცოლა მარო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 20 ნოემბერს უეცრად გარდაიცვალა მათთვის საყვარელი სახალხო გვარდიის არტილერისტი

**ვალოდია არსენის ძე მუავანაძე.**

გამოსვენება მოხდება 21 ნოემბერს, 41 ლაზარეთიდან, პეტრე დიდის ქუჩა, დასაფლავება სოფ. ბასილეთში (გურია). (4—3)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე დომინიკო არჯევანიძისა, შვილები: ვალიკო, შალიკო და კაკო, უბედური მამა გიორგი არჯევანიძე, ძმები: ერმალოზ და მიხაკო არჯევანიძეები და მარუსია ვლადიმერის ასული ჟენაძე ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს ძვირფასი და დაუვიწყარი საფერშლო სკოლის მასწავლებლის

**ზაქარია გიორგის ძე არჯევანიძის**

გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება მოხდება 24 ნოემბერს, დილის 10 ს., წმ. ნინოს სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ-დღე საღ. 5 ს., მალაკნის ქ. 27.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ივანე ლოლაძე, დედა ლიზა სოსანაშვილი და მაზლი გალაქტიონ, ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**ევა დიმიტრის ასული ლოლაძისა.**

პანაშვიდი ყოველ-დღე საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა მოხდება კვირას, 24 ნოემბერს. წირვა და პანაშვიდი იქნება გადახდილი წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. გამოსვენება დილის 10 საათზე, კრასნოგორის ქუჩა № 19.

ღრმად დამწუხრებული და გულდათუთქულნი: მეუღლე ამბაკო, შვილები: ვასილი, მარიამი, ჩიტო, და ალექსანდრე, მამამთილი მოსე, დედამთილი მართა, მაზლები: გიორგი (ზაქარია), კანილაკე, მული ნინო, რძალი, მარიამი, მაზლის შვილები: ქეთევანი და ვახტანგი ანდღულაძეები უგულითადესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელი

**თამარი მელქისედეკის ასულის ანდღულაძის**

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის უკანასკნელი გამოთხოვების დღეთ დანიშნულია კვირა, 24 ნოემბერი (ახ. სტ.), ს. ბახვში (გურია).

20 ნოემბერს თფილისში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კომერციულ მეცნიერებათა კანდიდატი პოდპორუჩიკი

**შალვა ანდრიას ძე ნამორაძე**

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დედა განსვენებულისა ზინობია სოლომონის ასული ნამორაძისა, და განსვენებულისა ოლღა ანდრიას ასული და სიძე მიხეილ პავლეს ძე კინწურაშვილი. დაკრძალვა გორში, კვირას, 24 ნოემბერს.

ღრმათ დამწუხრებული: მეუღლე ოლია, ძმები: ივანე, ვასილი, კონსტანტინე, ძმისწული სიმონა, ბიძა იოსები, ბიცოლები: ანუსია და პელაგია, ბიძაშვილები: დიმიტრი, ვლადიმერ, ელათი, ანნა და ელისაბედი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს

**იასონ დავითის ძე კაპანაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი იქნება გადახდილი ნოემბრის 23 ს წმ. ნინოს ეკლესიაში.

ასინეთი, ანეტა, ვიქტორ და ვერა მგალობლიშვილები ულრმესი მწუხარებით ატყობინებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი ნათლიდედის

**თამარ ანდღულაძის**

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება დანიშნულია 24 ნოემბერს, ს. ბახვის ეკლესიის სასაფლაოზე.

ანეტა გლახუნის ასული ავალიანისა, რაჟდენ და გიორგი გლახუნის ძენი დუმბაძეები, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 24 ნოემბერს, 12 საათზე, კალოუბნის ეკლესიაში, გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულთ დაუვიწყარ დის

**კესარია გლახუნის ასულის თავზერიძის**

და საყვარელის დის შვილის, ქუთაისის გიმნაზიის მე-7 კლასის მოწაფის

**თამარა თავზერიძის**

სულის მოსახსენებლათ.

ვარლამ, აბესალომ და მინადორა ვლადიმერის ძენი თავზერიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 24 ნოემბერს, დღის 12 საათზე კალოუბნის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათი დაუვიწყარი დედის

**კესარია გლახუნის ასულის თავზერიძის**

და საყვარელი დის შვილის, ქუთაისის გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფის

**თამარა თავზერიძის**

სულის მოსახსენებლათ.

**ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის საბჭო**

ამით აცხადებს, რომ კვირას, 24 ნოემბერს, დილის 11 საათზე

ქართულ კლუბის შენობაში

დანიშნულია კავშირის

**წევრთა საგანგებო კრება.**

საგანი კრებისა: წრევანდელი სეზონის ვითარება და კავშირის დამოკიდებულება მასთან. 4—3

## გერმანიის რევოლუციის გამო

რუსეთის ბოლშევიკებს არ მოსწონთ გერმანიის სოციალისტების ტაქტიკის ხაზი, არ მოსწონთ დამფუძნებელ კრების მოწვევის მიღება, არ მოსწონთ გზა დემოკრატიიდან სოციალიზმისკენ. ე. ი. ის გზა, რომელიც რუსეთის რევოლუციონურმა ს.-დ. წამოაყენა, მაგრამ გერმანიის მარქსისტებს განა შეეძლოთ სხვა გზით სიარული? განა ისინი მარქსის მოწაფენი არ არიან? და განა მარქსიზმის მთელი მოძღვრება ამ დებულების სიმართლესა და სისწორეზე არ არის აშენებული? ბოლშევიზმს არ მოსწონს მარქსიზმი. სამაგიეროთ მარქსის ქვეყანას არ მოსწონს ბოლშევიზმი. რევოლუციური გერმანია ბოლშევიზმს უარყოფს.

გერმანიის რევოლუციის დასაწყისში ბოლშევიკების ცნობით ბიურო დიდის რაზით აუწყებდა ქვეყანას გერმანიაში მუშათა და სალდათთა საბჭოების დაარსებას. იგი ისეთ კილოთი სწერდა, თითქოს გერმანიაში რუსეთის „სოვდეპია" გაბატონებულიყოს და ბოლშევიზმის ფრთა შეესხას.

მაგრამ სინამდვილემ სულ სხვა აღმოაჩინა. მუშათა და სალდათთა საბჭოების დაარსება—ეს უაღრესათ რევოლუციური აქტი ოდნავათაც არ აღმოაჩნდა ბოლშევიზმის ჰანგით მომღერალთ.

მუშათა საბჭოების იდეა არც რუსეთში ეკუთვნის ბოლშევიზმს. იგი მანამდე არსებობდა და საერთო რევოლუციის ხელმძღვანელის როლს ასრულებდა.

ბოლშევიზმმა მხოლოდ მას ნამდვილი რევოლუციური სული ამოაცალა და ანარქიის მოციქულად აქცია, დარღვევა-დაშლისა და დაქუცმაცების მთავარ ძალათ გახადა, ე. ი. უაღრესათ რეაქციონური მისსია დააკისრა. და ეს სწორეთ იმით, რომ უარჰყო მარქსიზმის საანბანო ჭეშმარიტება — დემოკრატიზმიდან სოციალიზმისაკენ. და პირდაპირ სივილურიდან სოციალიზმში გადახტომის ცდის გამო, ანარქიის მორევში ტყაპანი გაადინა.

გერმანიის რევოლუციურმა პროლეტარიატმა და მისმა თეორეტიულ თუ პრაქტიკულ ბრძოლაში გამოწრთობილმა ბელადებმა ეს გზა უარჰყვეს, როგორც დამღუპველი. ქ. კაუცკის სიტყვით, დაუყონებლივ სოციალიზაციის დაწყება იქნებოდა ურემში უკანიდან ხარების გაბმა, ე. ი. ისტორიულ მსვლელობის უკუღმა დატრიალება.

მიუხედავათ მძლავრი ეკონომიური განვითარებისა, მიუხედავათ იმისა, რომ გერმანიის მრეწველობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, ხოლო დაქირავებული მუშათა კლასი, ე. ი. პროლეტარიატი თითქმის სამ მეოთხედს შეადგენს მთელ მცხოვრებლებისას, ხოლო დანარჩენი კლასები, ვაჭარ-მრეწველები, გლეხები, ინტელიგენცია და სხვა მხოლოდ ერთ მეოთხედს, მიუხედავათ ასეთ ხელსაყრელ პირობებისა, გერმანიის მუშათა კლასი მაინც თანდათანობითი და მწყობრი მუშაობით აპირებს გასწიოს დემოკრატიზმიდან სოციალიზმის ბრწყინვალე სამეფოსკენ.

მართალია, ამ შემთხვევაში გერმანიის მუშათა კლასს უფრო მოკლე გზა აქვს გასავლელი, ვინემ რუსეთის მუშებს.

რუსეთში მუშათა კლასი პატარა უმცირესობას წარმოადგენს. იგი სულ 15—20 პროცენტი თუ იქნება. მისგან სოციალისტური დიქტატურის გამოცხადება, ცხადია, ნიშნავს უმცირესობის გაბატონებას უმრავლესობაზე, ე. ი. ანტიდემოკრატიულ და ანტისაზოგადოებრივ აქტს. ამიტომ, ლენინიზმის გაბატონება გადაიქცევა ანარქიის წყაროთ; გამუდმებულ ტერორის სისტემა, ხიშტების და სისხლის-ღვრის სამეფო—აი მისი შედეგი.

გერმანიის მუშათა კლასის დიქტატურა კი არის დიქტატურა უმრავლესობის უმცირესობაზე, ე. ი. მიმართულია უმცირესობის წინააღმდეგობის ალაგმვისაკენ. აქედან პირველი არის დიქტატურა უდროო, უადგილო, უგუნური, მეორე დროული, მიზნის შესაფერი, გონიერი და შედეგებიც მათ სხვადასხვა უნდა მოჰყვეს.

გერმანიის მუშათა კლასს არ დასჭირდება სისხლით და ხიშტით დაიმორჩილოს უმრავლესობა. მას შეუძლია დემოკრატიული არჩევნებით გაუყვანოს თავისი ნება-სურვილი, დემოკრატიზმის განხორციელებაზე დაამკვიდროს თავისი ძლიერება, თავისი სოციალისტური, მარქსისტული პოლიტიკა: მას შეუძლია მუშათა კლასის თანამედროვე და საბოლოო ინტერესების დაცვა და იდეალების განხორციელებისკენ სწორი, უტყუარი გზით სიარული.

დემოკრატიზმიდან სოციალიზმისკენ,—სოციალური რესპუბლიკის შექმნა,—როგორც ისეთი ფორმის, რომელიც საუკეთესო ფორმაა სოციალისტურ საზოგადოებისთვის, იუნკრულ და მილიტარისტულ გერმანიის ჩამოშორება თავიდან, რომ შემდეგ შესაძლებელი იყოს თვით ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთი-ერთობის გარდაქმნა, ამ საზოგადოების საფუძველთა შეცვლა. აი ტაქტიკური სიბრძნე გერმანიის პროლეტარიატის.

მართალია, გზა მათ უფრო მოკლე აქვთ სოციალიზმამდის, ვინემ რუსეთს, ან ვინემ ჩვენ. აქ დემოკრატიზმის ნასახიც არ ყოფილა. აქ ბურჟუაზიულ წყობილების დამკვიდრებაც კი მომავლის საქმეთ იყო მიჩნეული. და მაშასადამე, დემოკრატიულ წყობილების შექმნა და ამ წყობილებაში მასსის აღზრდა, მრეწველობის განვითარებისთვის შესაფერი პირობების შექმნით, მუშათა კავშირების დაარსებით, მუშათა კანონ მდებლობის განხორციელებით, ერთი სიტყვით, ცხოვრების გაევროპიელებით, აი რა უდგას წინ რუსეთის მუშათა კლასს.

გერმანიის მშრომელ მასსას ამიტომ შეუძლია თავის რევოლუციას დაუსახოს მიზნათ სოციალიზმის განხორციელება და ახლავე შეუდგეს გარდამავალ რეფორმების გონიერათ და მიზანშეწონილათ განხორციელებას. შეუძლია დღესვე დაიწყოს ზრუნვა შესაფერ სუბიექტიურ და საზოგადოებრივ პირობების შესაქმნელათ, რადგან იგი ეკონომიურათ დიდი ხანია მზადაა სოციალურ გარდაქმნისათვის.

ამიტომ ჩვენ ვდგევართ გერმანიაში სოციალისტურ გადატრიალების წინაშე. ჩვენში კი წინ გვიდგა მხოლოდ ბურჟუაზიული რევოლუცია. გერმანიის მუშები სოციალიზმის გზას მაინც დემოკრატიზმის საშუალებით იკაფავენ. და განა ჩვენ შეგვიძლია სხვა გზაზე შევდგეთ? დიახ, ერთათ ერთი სწორი და უტყუარი გზა ჩვენთვის არის გზა დემოკრატიის გამტკიცება გამაგრებისა. ამ მორიგ სამუშაოს შესრულებით ჩვენ გავიმაგრებთ საკუთარ კლასობრივ პოზიციას, ვიხსნით თავს ბოლშევიკურ ანარქიისაგან, საუკეთესოდ მოვემზადებით ევროპის რევოლუციური ქარიშხლის შედეგებისთვის ანგარიშის გასაწევათ. იქ თუ სოციალიზმის განხორციელება ფაქტათ იქცა, ჩვენი დემოკრატიზმი მის გადმოღებას გაგვიადვილებს. თუ იქ უკიდურესი დემოკრატიზმის განხორციელებით დათავდა ტიტანიური ბრძოლა მუშათა კლასისა, ჩვენ მათ ოჯახში, მათთან თანამებრძოლი ვიქნებით.

ორივე შემთხვევაში ჩვენ ვიმოქმედებთ, როგორც უმცროსი ძმა და ახალგაზრდა წევრი ბრძოლის ალში გამობრძმედილ, განვითარებულ და კულტურულათ მაღლა მდგომ ევროპის მუშათა კლასისა...

## თფ. მუშ. და ჯ.-პ. დეპუტ. საბჭოს კრება

20 ნოემბერს, სახალხო სახლში, შესდგა საბჭოს კრება, რომელსაც ბლომად ბევრი ხალხი დაესწრო. დღის წესრიგში იყო „რევოლუცია გერმანიაში". მოხსენებები გააკეთეს ნ. ნ. ჟორდანიამ და ირ. გ. წერეთელმა.

### ნ. ჟორდანიას მოხსენება.

ამხანაგებო! რეაქციის მთავარი ბურჯის რუსეთის აბსოლიუტიზმის დანგრევის შემდეგ, ხდება დანგრევა მეორე არა ნაკლებ მნიშვნელოვან გერმანიის იმპერიალიზმისა. გერმანიაში და ავსტრიაში ხდება ფრიად დიდი მოვლენები, რომელიც თქვენ ყველამ იცით გაზეთებიდან, მაგრამ არ არის საკმარისი ცოდნა მომხდარ ამბებისა, საჭიროა შეგნება მისი და ჩვენი მუშაობის და ტაქტიკის შეფარდება ამ მოვლენათა გაგებით. რომ შევიგნოთ ის ამბები, რომელიც ხდება ავსტრიაში და გერმანიაში, საჭიროა აღინიშნოს ის პოლიტიკური პირობები, რომელიც არსებობდა ამ სახელმწიფოებში და რით განსხვავდებოდნენ ეს სახელმწიფოები დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებიდან. პოლიტიკური წესწყობილების მიხედვით ევროპის სახელმწიფოები შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს: აღმოსავლეთის, რომელშიაც შედიან გერმანია და ავსტრო-უნგრეთის სახელმწიფოები და, დასავლეთის ყველა ევროპის სახელმწიფოები ინგლისის მეთაურობით. დასავლეთის სახელმწიფოები განსხვავდებიან აღმოსავლეთის სახელმწიფოებიდან ორი თვისებით: პირველი ის, რომ ესენი შეადგენენ ნაციონალურ სახელმწიფოებს, ე. ი. მომეტებული ნაწილი მცხოვრებლებისა ეკუთვნის ერთ ნაციას. მეორე განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოებში არსებობს პარლამენტარული წყობილება, რომლის საშუალებითაც ხალხი გამოხატავს თავის ნებისყოფას. ეს ორი თვისება, პარლამენტალური წყობილება და ნაციონალური სახელმწიფო, არ არსებობდა გერმანიაში და არც ავსტრიაში. გერმანია წარმოადგენს ნახევრათ ფეოდალურ სახელმწიფოს. ავსტრია კი წარმოადგენდა კონგლომერატს სხვადასხვა ეროვნებისა, რომელთა ინტერესებიც ხშირათ ერთი ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ, რაც ქმნიდა ნიადაგს გამუდმებულ კონფლიქტებისათვის. ამგვარათ, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში იყო ორგვარი წინააღმდეგობა: პოლიტიკური და ნაციონალური. ვიღებთ რა ამ გარემოებას მხედველობაში, შეგვიძლიან სისწორით დავაფასოთ იქ მომხდარი ამბები. გერმანიაში დანგრევა ნახევრად ფეოდალურ პოლიტიკურ წყობილებისა მოხდა სწრაფათ და ეს კი აიხსნება შემდეგი მიზეზებით. გერმანია შეიქნა მთლიან სახელმწიფოთ ხანგრძლივ ომების ხანაში. რევოლუცია 48 და 60 წლებისა ცდილობდა შეერთებინათ ის და დაემყარებინათ რესპუბლიკანური წყობილება. რეაქციონური წრეები სცდილობდნენ შეერთებას მონარქიულ ნიადაგზე გამარჯვებულ ომების წყალობით. უკანასკნელმა მიმდინარეობამ გაიმარჯვა, შეიქნა ბურჯი, რომლის მეთაურადაც გახდა გერმანიის იმპერატორი. აქედან შეგვიძლიან ის დავასკვნათ, რომ ნახევრათ ფეოდალური და ნახევრათ პარლამენტალური წყობილება შედეგი იყო გამარჯვებულებისა. და დამარცხება ომის ველზე უნდა გამხდარიყო მიზეზი მონარქიის დანგრევის. და ჩვენ ვხედავთ, დაიწყო თუ არა გერმანიის დამარცხება, მოისპო ის ნიადაგი, რაზედაც იქნა აღმოცენებული გერმანიის იმპერია. მე ჩემს სიტყვებში და წერილებში არა ერთხელ აღმინიშნავს, რომ გერმანიის იმპერიის სიძლიერე არის დამყარებული სამხედრო ძლიერებაზე და ვატერლოო გერმანიისა გამოიწვევდა ამ მონარქიის დამხობას. და ჩვენ ვხედავთ, რომ ის პოლიტიკური ხაზი, რომელსაც ატარებდნენ კონსერვატორები და ლიბერალები 48 წლიდან და რომლის შედეგიც იყო გერმანიის შეერთება მახვილის საშუალებით, სამუდამოთ გაკოტრდა და ეს გაკოტრება მოხდა იმავე ძალის საშუალებით, რომელმაც შეაერთა გერმანია, ესე იგი მახვილის საშუალებით. გერმანიის დამარცხებამ ომის ველზე გამოიწვია მონარქიის დანგრევა პირველათ პრუსიაში და შემდეგ სხვა სამეფო და სამთავროებში. ეხლა ხორციელდება იდეა მთლიან გერმანიის რესპუბლიკის შექმნისა. ამგვარათ, გერმანია, რომელმაც დაამარცხა რუსეთი, იქნა თვით დამარცხებული უფრო განვითარებულ ევროპის სახელმწიფოების მიერ. ამერიკის მონაწილეობამ, რომელმაც ძლიერ წინ გასწირო გერმანიას ეკონომიურათ, გადასწყვიტა ბედი გერმანიისა. ეს ცხადი გახდა მაშინვე. ეკონომიური საფუძველი, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკურ წყობილებასაც, ამერიკაში უფრო ძლიერი და განვითარებული აღმოჩნდა. და ამის წყალობით ამერიკა უკარნახებს თავის ნებისყოფას სხვა სახელმწიფოებს. გადავიდეთ ახლა ავსტრიაზე.

ავსტრიის რევოლუციამ მიიღო ნაციონალური ფორმა, მონარქია გაიყო რამდენიმე ნაციონალურ რესპუბლიკებათ და მთელი რევოლუცია ხდება ნაციონალურ ჩარჩოებში. პირველ შეხედულებით დემოკრატიზმს არავითარი საერთო არ აქვს ნაციონალიზმთან. მაგრამ წარმოუდგენელია დემოკრატიზმი იქ, სადაც ხალხს არ აქვს შეძლება სუვერენულ ნებისყოფის გამოჩენისათვის ნაციონალურ ჩარჩოებში, თავის ენის, ლიტერატურის და კულტურის საშუალებით. ნაციონალური და დემოკრატიული მოძრაობა ხშირათ შეთანხმებით მიდიან. როდესაც მოხდა დიდი რუსეთის რევოლუცია ჩვენ ვიყავით წინააღმდეგი ეროვნებათა გათიშვის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩვენი სურვილების მიუხედავათ, ამ ცხოვრების მიმდინარეობამ გაიმარჯვა. ამ გვარათ, აღმოსავლეთი ევროპა ემსგავსება დასავლეთს, აღმოსავლეთის სახელმწიფოები ხდებიან დემოკრატიული და ნაციონალური. როგორი იქნება მომავალში აღმოსავლეთში დაწყებული რევოლუციონური მოძრაობა: გაჩერდება ამ ჩარჩოებში თუ გადალახავს მას და გათავდება სოციალურ რევოლუციით, თუ დასრულდება, რესტავრაციით?.. ამ სამს კითხვას უნდა გაუჩკეთოთ ანალიზი. პირველი უმთავრესი დებულება, რომელიც ჩვენ უნდა გვახსოვდეს, ის არის, რომ რევოლუცია მოხდა ომის ნიადაგზე—გერმანიის დამარცხების შემდეგ. ამაში მდგომარეობს ძალაც და სუსტი მხარეც რევოლუციისა. ძალა მდგომარეობს იმაში, რომ დამონებულ კლასებმა ჩაიგდეს ძალა-უფლება ხელში და მოექცნენ სახელმწიფოს სათავეში. სუსტი მხარე რევოლუციისა არის ის, რომ ძალა-უფლება ხალხმა მიიღო არა შინაურ ბრძოლის შემდეგ, არამედ გარეშე პირობების წყალობით. რევოლუცია ყოველთვის გამარჯვებულია, როდესაც იგი შედეგი არის შინაურ ბრძოლისა. და თუ ის ხდება მაშინ, როდესაც დაჩაგრული კლასები არ არიან მომწიფებულნი, არამც თუ მიიღონ თავისუფლება, არამედ შეინარჩუნონ იგი, რევოლუცია შეიძლება დამარცხებით გათავდეს. 90 წლებში კაუცკი სწერდა, რომ საშუალება, რომელიც გადასცემს პროლეტარიატს ძალა უფლებას, შეიძლება იყოს ომიც, რომელიც უფრო ცხადათ ააშკარავებს შინაგან წინააღმდეგობას და აძლევს შეძლებას დაჩაგრულ კლასებს გამარჯვებისას, მაგრამ რევოლუცია, რომელიც არის შედეგი ომისა, არის მაჩვენებელი დაჩაგრულ კლასთა სისუსტისა, ის არ არის ხანგრძლივი და ადვილათ თავდება დამარცხებითო. კითხვა, თუ რა შედეგებიდან გამომდინარეობს რევოლუცია, არის ფრიად მნიშვნელოვანი. ჩვენ ამ კითხვას ვითვალისწინებდით რუსეთის რევოლუციის შემდეგ და მაშინ ვამბობდით, რომ რევოლუცია შეიძლება დაიღუპოს, თუ მუშათა კლასი არ შეიგნებს მის მიზნებს და არ წავა მის განხორციელების გზაზე. ამიერ-კავკასიის სოციალ დემოკრატიამ შეიგნო ეს და დაისახა განსახორციელებლათ ის მიზნები, რომლის მიღწევაც ობიექტიურათ შესაძლებელი იყო. ამის წყალობით ჩვენ შევინარჩუნეთ აქ რევოლუციის მონაპოვარი. რუსეთში ეს არ შეიგნეს და შედეგი ამისა არის ის, რომ ძალა-უფლება ერთი ჯგუფის ხელშია, რომელიც ხელს უწყობს კონტრრევოლუციონურ ძალების ზრდას. აღსანიშნავია, რომ გერმანიის რევოლუციაშიაც ხდება შეჯახება ორ მიმდინარეობისა, ერთი მიმდინარეობაა, რომელსაც ატარებდა პეტროგრადის საბჭო პირველი შემადგენლობისა და მეორე ის, რომელმაც დაასამარა რუსეთის რევოლუცია.

სიძლიერე რევოლუციისა მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ უმრავლესობა თუ უმცირესობა იზიარებს მას. რევოლუცია გაიმარჯვებს თუ მთელი დემოკრატია მხარს უჭერს მას, დამარცხდება რევოლუცია თუ იგი მხოლოდ უმცირესობას ეყრდნობა. რუსეთის მაგალითი ამის მაჩვენებელი არის. რუსეთის რევოლუციას თავის გარშემო რომ შემოეკრიბა ხალხის უმრავლესობა, ვერავითარი ძალა მას ვერ შეარყევდა. მე მგონია, რომ გერმანიის სოციალდემოკრატიის მთელი პროგრამის ძირიანად შეცვლა და გადატეხა შეუძლებელია. უმრავლესობა მისი დემოკრატიისა იმ აზრს ადგა, რომ რევოლუცია შეიძლება ბოლომდის მივიდეს მხოლოდ დემოკრატიზმის საშუალებით. ერთი ნაკლი ამ რევოლუციისა არის ის, რომ მასში მონაწილეობას იღებს სამხედრო სტიქია, რომელსაც შეუძლიან წაიმძღვაროს მასა

მაგრამ ამ გზით, როგორითაც წავიდა სამხედრო სტიქია რუსეთისა. მაგრამ გერმანიას ჰყავს ძლიერი, დიდის ხნიდან დაარსებული პარტია და ორგანიზაციულად შეკავშირებ. დემოკ. გერმანიას შეუძლიან დაამარცხოს ეს სტიქია და ჩააყენოს დემოკრატიულ კალაპოტში დ მისცეს ნორმალური მსვლელობა. გერმანიის რევოლიუციას სამ გვარი გამოსავალი შეიძლება ჰქონდეს. თუ ბოლშევიზმმა გაიმარჯვა, ეს მოხდება სამხედრო სტიქიის წყალობით და მისი შედეგი იქნება დემოკრატიის დამარცხება. თუ ეს არ მოხდა, რევოლიუცია დემოკრატიულ ფარგლებში განვითარდება. ჩვენ ვიცით, რომ მთელი გერმანია მოითხოვს დამფუძნებელ კრების მოწვევას. და თუ ამ გზით ივლის უმრავლესობა, რესტავრაცია არ არის მოსალოდნელი. თუ გერმანიის რევოლიუცია გაიმარჯვებს, როგორც დემოკრატიული, რა მოილის მას შემდეგ, გაჩერდება დემოკრატიულ ჩარჩოებში თუ დემოკრატიზმის საშუალებით გადააბიჯებს და მივა სოციალიზმამდის. თუ საფრანგეთში ან ინგლისში მოხდა რევოლიუცია, ის იქნება სოციალური რევოლიუცია. იქ არ არსებობს წინააღმდეგობა არც ნაციონალური და არც პოლიტიკური. იქ არსებობს მხოლოდ სოციალური ხასიათის წინააღმდეგობა და ამიტომ იქ შესაძლებელია მხოლოდ სოციალური რევოლიუცია. თუ დასავლეთში არ იქნება რევოლიუცია, ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანიაში დამყარდება დემოკრატიული წესწყობილება და მხოლოდ ამ შემთხვევაში ორგანიზაციულ კლასთა ბრძოლის საშუალებით პროლეტარიატი მიაღწევს სოციალიზმს. ჯერ უნდა განხორციელდეს პროგრამის მინიმუმი და მხოლოდ შემდეგ შესაძლოა სოციალურ რევოლიუციის მოხდენა მთელი თავის სიგრძე-სიგანით. დემოკრატიის საშუალებით შეუძლებელია რევოლიუციის დამყარება, საჭიროა ახალი ორგანიზაცია წარმოებისა, რომელიც მოითხოვს დიდ დროს. გერმანიამ უნდა გაიაროს ეს დემოკრატიზმის ეტაპები. გერმანიის რევოლიუცია არ ივლის რუსეთის რევოლიუციის გზით, ამის თავდებია მისი კულტურა შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ გერმანიის მუშათა კლასი ივლის რუსეთის მუშათა კლასის გზით. ჩვენ ვხედავთ რევოლიუციის ორ ტიპს: რუსეთის, რომელიც გვიჩვენებს, რომ არ უნდა ვაკეთოთ რევოლიუცია, გერმანიის, რომელიც გვასწავლის, როგორი უნდა იყოს რევოლიუცია. თუ საქართველოს დემოკრატიამ გაითვალისწინა ყველა შეცდომები რუსეთის რევოლიუციისა და ცდილობდა არ განემეორებინა ისინი, ამას უფრო უკეთ შეიგნებს შეგნებული პროლეტარიატი გერმანიისა და დემოკრატიზმის საშუალებით სოციალიზმს მიაღწევს. (ხანგრძლივი ტაში).

**მოხსენება ირაკლი წერეთლისა.**

ამხანაგებო! გერმანიის რევოლიუცია, რომლისკენაც მიპყრობილია ამ ჟამათ მთელი კაცობრიობის თვალ ყური, მიმნადირეობს ნაციონალურ-სახელმწიფოებრივ ფარგლებში. მაგრამ როგორც გერმანიაში, ისე მთელს მსოფლიოში ფიქრობენ, რომ ამ რევოლიუციამ უნდა გადასჭრას ის პრობლემა, რომლისთვისაც აგერ ოთხ წელიწად ნახევარია რაც უმაგალითო, სასტიკი ომი სწარმოებს. მსოფლიო იმპერიალიზმი ამ პრობლემის გადაჭრას ხმლის საშუალებით ცდილობდა. გერმანიის რევოლიუცია კი სცდილობს ამ პრობლემის ხალხთა შეთანხმებით გადაწყვეტას. ჩვენ ვიცით, რომ ევროპის სოციალისტები უსვამდნენ თავიანთ თავს ამ პრობლემის საკითხს. საქმე იმაშია, რომ ადამიანის ბატონობა ბუნებაზე, საწარმოვო ძალთა განვითარება აღმოჩნდა ნაციონალურ სახელმწიფოებრივ ფარგლებზე უფრო ძლიერი დ არ ეტევა მასში. ამ გარემოებამ წარმოშვა ომი. ეს არის მთავარი პრობლემა, რომლის გადაწყვეტას იარაღით ხელში შეუდგა ორი იმპერიალისტური კოალიცია. ორივე კოალიციისათვის ერთნაირი იყო ეს პრობლემა. თითეული კოალიცია მიისწრაფოდა იქითკენ, რომ შეექმნა თავისთვის უკეთესი პირობები. ორივე კოალიციას კარგათ ესმოდა, რომ დადგა ისეთი მომენტი, როცა ერთა თვით გამორკვევის პრინციპი არ აძლევს დამაკმაყოფილებელ პასუხს ბურჟუაზიის მოთხოვნილებებს, როცა რამოდენიმე მსოფლიო კლასებმა უკვე გამოარკვიეს თავის თავი მსოფლიო თვითმპყრობელის სახით. დიდი განსხვავება არსებობს ამ ომის და მე XIX საუკუნის ომებთა შორის შინაგანი აზრიანობის მხრით. მაშინ კაცობრიობის პროგრესი მოითხოვდა ისეთ სახელმწიფოებრივ ფორმის შექმნას, რომელიც გააერთიანებდა ნაციას ერთ მთელში და ამ მთელს ესაჭიროებოდა ნაციონალური პრობლემები. ყველა ომები და რევოლიუციები მე XIX საუკუნეში ამ ნაციის გაერთიანების დროშის ქვეშ მიმდინარეობდენ.

საფრანგეთში მაშინ რევოლიუციონერები თავიანთ თავს „პატრიოტებს“ უწოდებდნენ და თავიანთ თავს წინ უყენებდნენ ფეოდალებს. მათ წამოაყენეს სწავლა, რომელიც ეგუებოდა ქვეყნის საწარმოვო ძალთა განვითარებას. საჭირო იყო ფრანგებისათვის საფრანგეთის დაპყრობა, საჭირო იყო ფეოდალური ნაშთების მოსპობა, საჭირო იყო საფრანგეთის ერთ მთლიან ნაციონალურ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის შექმნა. ეს ბრძოლა ფეოდალური ევროპის წინააღმდეგ პროგრესიული იყო. პროგრესის ელემენტები იყო აგრეთვე ნაპოლეონის ომებში, ვინაიდან ამ ომის დროშის ქვეშ მაგრდებოდა და იჭედებოდა ნაციონალურ სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია საფრანგეთისა.

როცა ბისმარკის გერმანია შეეჯახა საფრანგეთს, ამ შეტაკებაშიაც იყო პროგრესის ელემენტები, რადგანაც ამ გზით იქმნებოდა გერმანია. იტალიაში გარიბალდის რევოლიუციონური რაზმები აკეთებდენ თავის სამშობლოს აღორძინების საქმეს. იქ ნაციონალურ გაერთიანების დროშის ქვეშ ფართე გზა ეხსნებოდა ქვეყნის ეკონომიურ ძალების განვითარებას.

ჩვენ ვხედავთ, რომ ყველა ამ ომების დროს ერთმანეთს ეჯახებოდა ორი მხარე; ერთს განზრახვა ჰქონდა ნაციონალური თავისუფლება მოესპო, მეორე კი მას იცავდა.

და რადგანაც საწარმოვო ძალთა განვითარება მოითხოვდა ნაციონალური სახელმწიფოს შექმნას, ამიტომ ამ ომებში იყო პროგრესიული ელემენტები.

თანამედროვე ომი კი განსხვავდება იმ ომებისაგან; ეს ომი დაიწყო ისეთ დროს, როცა ეკონომიური განვითარება გაცილებით უფრო მაღლა სდგას მაშინდელზე.

ჩვენ ყველამ ვიცით კაპიტალისტური განვითარება წარმოებისა, რომელმაც მთელი მსოფლიო გარდაქმნა. თითეული ქვეყნის ბურჟუაზია თავისთვის ამაგრებდა განსაზღვრულ ბაზარს, მაგრამ გრძნობდა, რომ ესაჭიროებოდა ახალი ბაზრები. მსოფლიოში განვითარდნენ კოლოსალური სახელმწიფოები განვითარებულ საწარმოვო საშუალებებით, რომელნიც ეთანასწორებოდნენ ერთმანეთს. ამან გამოიწვია თანამედროვე ომი. არა ერთა თვითგამორკვევისათვის, არა ერთა თავისუფლებისათვის იფეთქა ომმა. ის დაიწყო იმიტომ, რომ ორმა კოალიციამ იგრძნო, რომ საჭიროა ნაციონალური ფარგლების გადალახვა. მიმართეს იარაღს და მის საშუალებით შეეცადნენ ბაზრის გაფართოვებას. აქ არ აღმოჩნდა პროგრესიული და არა პროგრესიული მხარეები, ერთი და იგივე იდეა აერთიანებდა თითოეულ კოალიციას და ამ გარემოებამ წარმოშვა მიზეზი ინტერნაციონალის დამარცხებისა. სოციალისტები ამ ომს ზომავდნენ ძველი ომების საზომით და ცდილობდნენ გაესაზღვრათ ვინ აწარმოებდა შეტევით, და ვინ თავდაცვით ომს. ამ ომში შეტევითი და თავდაცვითი ელემენტები ხშირად იხლართებოდნენ ერთმანეთში. თვითოეული მხარე იბრძოდა საზღვრების გაწევისათვის, ტერიტორიის გაფართოვებისათვის და იმ შემთხვევაში თუ დამარცხდებოდა ქვეყნის აოხრება და დანგრევა უნდა გამხდარიყო წილად.

მხოლოდ ამ ომის მსვლელობაში, როცა ნათლად გამოირკვა ძირითადი პრობლემა და შედეგები ომისა, ფეხი მოიკიდა ახალმა მოძრაობამ და დღეს, ოთხ ნახევარ წლის ომის შემდეგ, პირველად გერმანიაში, სადაც ეკონომიური ძალები მაღალ საფეხურზე დგანან, პროლეტარიატი გამოვიდა ახალ ფრონტზე— მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ცდილობს გადაჭრას არა მარტო ნაციონალური პრობლემა, არამედ ომის პრობლემაც. ჩვენ ვიცით, რომ როცა რუსეთის რევოლიუციამ იფეთქა, მაშინ მთელი მოწინავე დემოკრატია გრძნობდა, რომ იქ რუსეთის განახლების და ომის გათავების საკითხები ერთმანეთს მჭიდროთ გადაებნენ.

(დასასრული იქნება)

# გერმანიის დელეგაციის ცნობები

თფილისი, 22 ნოემბერი.

**ჯარის დემობილიზაცია გერმანიაში.**

დემობილიზაცია გერმანიის ჯარისა წესიერად ხდება, დასავლეთის ჯარი ბრუნდება ფრონტიდან, ერთმა დიდმა ნაწილმა უკვე გადმოიარა რეინის ხიდი.

**ბ ა თ უ მ ი.**

არავითარი ცნობა არ არის, რომ ბათუმში იყვნენ ინგლისელები. რომ მისულიყვნენ ბათუმში, რასაკვირველია შეატყობინებდენ საქართველოს მთავრობას, ყოველ შემთხვევაში 20 ნოემბერს იქ გაემგზავრება დელეგაცია გენერალ კონსულ ბროდეს მეთაურობით, შავ ზღვაზე თავისუფალ მიმოსვლის აღდგენის გამოსარკვევად.

**რუსეთის ელჩები.**

რუსეთის ელჩები, იოფფეს მეთაურობით, რომლებიც გამოემგზავრენ ბერლინიდან, გერმანიის მთავრობის მიერ დაკავებულ იქნენ მინსკში იმ დრომდე, ვიდრე გერმანიის ელჩები არ გამოემგზავრებიან რუსეთიდან.

**სურსათის საკითხი რუსეთში.**

დელეგაციას ხელთ აქვს რუსეთის საბჭოთა მთავრობის მიერ გერმანიაში გაგზავნილი დეპეშა 15 ნოემბრის თარიღით, რუსეთის საელჩოს სახელზე. ამ დეპეშით მთავრობა ატყობინებს თავის ელჩს, რომ ჩეხოსლოვაკები დაამარცხეს და გააწმინდეს მდინარე ვოლგის მიდამოები, რომლის განთავისუფლებამაც ხელი შეუწყო ნიჟნი ნოვგოროდში აურებელ სურსათის შემოტანას. მოსკოვში წელს ფქვილი 10-ჯერ მეტი არის, ვიდრე შარშან ამ დროს იყო, კარტოფილი ხუთჯერ მეტია, ნიჟნი-ნოვგოროდში უამრავი მარილი არის, შაქარი, თევზი და სხვა სანოვაგე.

**ადგილობრივ გერმანელ ჯარისკაცთა საბჭო.**

ყოველდღე იმართება კრებები, თავიანთ დადგენილებებს ატყობინებს უმაღლეს სარდლობას, ჯარისკაცებს არ ეტყობათ არავითარი აღელვება, რომ დროზე არ ბრუნდებიან სამშობლოში, რადგანაც იციან, რომ როდესაც შესაძლებელი გახდება მათი გამგზავრება, ეს დაუყონებლივ სისრულეში იქნება მოყვანილი.

**რუმინიის და გერმანიის ურთიერთობა**

დელეგაციას აქვს ცნობა, რომ მაკენზენი, რომელიც იმყოფებოდა რუმინიაში, უკვე ვენაში ჩავიდა. ომი რომ სწარმოებდეს რუმინიას და გერმანიას შორის, მაშინ მაკენზენი ჯარს თავს არ დაანებებდა. რუმინიაში მყოფ გერმანიის ჯარის შესახებ არავითარი ცნობა არ არის.

**რევოლიუცია ევროპაში.**

საფრანგეთის რევოლიუციის შესახებ არავითარი ცნობა არ არის, ჰოლანდიაში სიმშვიდე ჩამოვარდა, შვეიცარიამ გამოაცხადა მობილიზაცია მე 12 დივიზიისა. ალბათ შინაურ არეულობის ეშინიათ.

# მერვე ყრილობა

**ს.-დ. მ. პარტიის წარმომადგენელთა.**

**17 ნოემბრის დილის სხდომა.**

**პარტიული მუშაობის შესახებ.**

მოხსენებას აკეთებს რ. არსენიძე.

ამხანაგებო! ჩვენი პარტიული მუშაობა ორ ნაწილად განიყოფება: ერთია აშენება ორგანიზაციის, მოწყობა მისი და მეორე—იდეურ გონებრივი მუშაობის წარმოება, ჩვენი იდეების პროპაგანდა-აგიტაცია, მისი გაფართოვება და ასე შეძენა ახალი წევრების და მიმდევრებისა.

როგორი უნდა იყვეს ჩვენი ორგანიზაციული მუშაობა? დღემდე ამ მხრივ ერთი სისტემა არ გვქონდა, მით უმეტეს ეს ითქმის იმ დროს შესახებ, როცა არალეგალურად გვიხდებოდა მუშაობა: მაშინ რაიმე სისტემის დაცვა შეუძლებელიც იყო. ამიერიდან იწყება სულ ახალი მუშაობა: ახალ სახელმწიფოში ახალი ორგანიზაციის დაარსება, მისი გარდაქმნა და გამაგრება. პარტია ცოცხალი ორგანიზმია და როგორც სახელმწიფო არის ერთი და მთლიანი, ისე მასში უნდა იყვეს ერთი და მთლიანი პარტია. ეხლა ჩვენი ამიერ-კავკასია იყოფა სამ ნაწილად და სანამ არსებობს სახელმწიფო, როგორც ასეთი, თითო სახელმწიფოში უნდა შესდგეს ერთი მთლიანი, ცენტრალური პარტია. ესაა ტრადიცია ძველი პარტიის, რ. ს.-დ. მ. პარტიისა, მის ცენტრალიზმში იყო სიმტკიცე და ძლიერება მისი. მის წინააღმდეგ იყო ბრძოლა ბუნდოვნელებისა და სხვა ნაციონალურ პრინციპზე მოწყობილ ს.-დემოკრატიულ პარტიებისა, მაგრამ ბოლოს იგი პარტიები დამარცხდნენ და შექმნილ იქმნა ერთი მთლიანი პარტია. ჩვენც ჩვენ სახელმწიფოში ერთი მთლიანი ცენტრალისტური პარტია უნდა შევქმნათ, საცა შევლენ ყველა საქართველოში მოსახლე ერთა ს.-დ. ნაწილები, წინააღმდეგ შემთხვევაში დაშლა აუცილებელია: ამის მაგალითს ავსტრო-უნგრეთი გვაძლევს, საცა მრავალი ს.-დ. პარტია იყო და ამით მხოლოდ ზიანი მოსდიოდა. პარტიაც ტერიტორიალურ-პოლიტიკური ერთეულია, ერთი ცენტრით.

როგორ უნდა მოეწყოს ამ ერთი ცენტრალისტური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციები, ასე ვსთქვათ მისი პერიფერიები? აქაც უნდა დავადგეთ ერთ გარკვეულ ხაზს. ორგანიზაციის ფორმა უნდა ეგუებოდეს საერთო სამუშაოს. ჩვენი სამუშაო იქნება ცალ-ცალკე ადმინისტრატიულ ერთეულებში, პარტიული ადგილობრივი ორგანიზაციებიც უნდა შეეფარდოს ამ ერთეულებს და იმის და მიხედვით მოეწყოს, ძაფივით აწყობილი და ერთ ძლიერ ცენტრში თავმოყრილი. ამიტომ ყველა მაზრაში უპირველესად ყოვლისა სამაზრო კომიტეტი უნდა შესდგეს. მთელი მაზრის ს.-დ. ერთეულები თავს იყრიან ამ კომიტეტში, საცა შედის თვით სამაზრო ქალაქის ორგანიზაციაც. გუბერნიები ალბად აღარ გვექნება და თავისთავად საგუბ. კომიტეტი არ იქნება საჭირო. ეხლა რომ „ცენტრალური კომიტეტი“ მათ სახელწოდება უნდა შევცვალოთ, რადგანაც ბოლოს [illegible] ერთი ცენტრალური კომიტეტი. მთავარი ხელმძღვანელი—[illegible]. პარტიულ კომიტეტს დაერქმევა იმ მაზრის სახელი საცა ის არსებობს, მაგალ. „დუშეთის მაზრის ს.-დემ. კომიტეტი“, „ლეჩხუმის მაზრის“ და სხვ. მაზრის უმაღლესი ორგანო იქნება სამაზრო კონფერენცია. სამაზრო კომიტეტები პირდაპირ კავშირში იქნებიან მთავარ, ცენტრალურ კომიტეტთან. მაზრაც ალბათ დაიყოფა საერობო ერთეულებათ და ამის და მიხედვით დაარსდება პარტიული ორგანიზაციები. თითო საერობო ერთეულში იქნება მხოლოდ ერთი პარტიული ორგანიზაცია, რომელიც მაზრის კომიტეტს დაემორჩილება. ამნაირი იქნება პარტიის შენობა. ურთიერთობა ამ პარტიულ ორგანოებს შუა ძველი იქნება, როგორიც აქამდე იყო: საოლქო კომიტეტი ხელქვეით ორგანიზაციებს უწევდა ზოგად ხელმძღვანელობას, აძლევდა დირექტივებს და სხვ. იგივე საქმეები შევა ც. კომპეტენციაში. ცენტრ. კომიტეტთან ერთად დაარსდება საკონტროლო კომისია. დამოკიდებულება ც. კ. და საკონტროლო კომისიის შუა ძველებურია. ამ მხრივ პარტიის სტრუქტურა თითქმის ძველი რჩება. მე მის უცვლელობას ვიცავ. როგორი უნდა იყვეს ორგანიზაციების შინაგანი წყობილება საქმის წარმოება? დღემდე თითო ორგანიზაცია თავისებურად აწყობდა თავის შინაურ საქმეებს, არ იყო მათი საერთო ხაზი. საჭიროა ეს მოისპოს. საჭიროა თითოეულ ორგანიზაციაში იყვეს ერთგვარი ბუხგალტერია, ანგარიშების წარმოება, წევრების რეგისტრაცია და სხვ. მარტო ეს არ კმარა: საჭიროა მთელი რეგისტრაცია მთელი პარტიული მუშაობისა. შეიძლება ამისთვის დაგვჭირდეს სპეციალური ინსტრუქტორები. ეს უნდა ითაოს ცენტ. კომიტეტმა. თუ ეს სისტემა შემოვიღეთ, მაშინ მუშაობა ყველგან გათანასწორდება და თანაბარი გახდება. მაშინ ყოველგვარი საყვედურებიც მოისპობა.

რაში უნდა გამოიხატებოდეს პარტიის იდეიური მუშაობა? მთავარი მიზანი ამ მუშაობისა არის პარტიული აზრების და იდეების გავრცელება მასაში. ამ ბოლო დროს ამ მხარეს ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ, ამიტომ პარტიული მუშაობა მოდუნდა. საჭიროა ის განახლდეს. ამისთვის აუცილებელია: სისტემატიური ლექცია-მოხსენებების კითხვა პარტიულ ყრილობებზე, ფართო აგიტაცია-პროპაგანდის გაწევა, მოწინავეთა სამეცადინო წრეების მოწყობა. ესაა მთავარი საფუძველი და ღერძი პარტიული მუშაობისა. მაგრამ ეს არ კმარა: უნდა დაარსდეს ც. კომ. ხელმძღვანელობით პარტიული სკოლა, საცა მომზადდება კადრი ლექტორებისა და რეფერენტებისა. პარტიული მუშაობისთვის თეორიული და პრაქტიკული გაწვრთნაა საჭირო, რომ სათანადო მუშაკები შევქმნით. ც. კ. ს ცალკე უნდა ჰყავდეს ლექტორების ჯგუფი, რომლებიც სისტემატიურად

# ფელეტონი

## „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი“ და მისი ნამოქმედარი.

ეს ერთი ხანია გაზ. „კლდის“ ფურცლებზე წერილებს ათავსებს საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ემიგრანტი ბ. ნესტორ მალალაშვილი. მკითხველებს უნდა გავახსენოთ, რომ ბ. მალალაშვილმა მონაწილეობა მიიღო დუშეთის ხაზინის გატეხაში, რომელიც 1907 წელში მოაწყო ანარქისტების ჯგუფმა ძმათა კერესელიძეთა მეთაურობით. ეს ჯგუფი ხაზინის გატაცების შემდეგ საზღვარგარეთ გადასახლდა. როდესაც მსოფლიო ომი დაიწყო, ამ ანარქისტთა ჯგუფს გაღვიძებია ძლიერი სიყვარული სამშობლოსადმი, მოუნდომებია დამცემით მოქმედების საამშენებლო მოქმედებათ შეცვლა, უკიდურეს ანარქისტულ კოსმოპოლიტიზმიდან, რომელიც სამშობლოს და სახელმწიფოს უარჰყოფს, უკიდურეს ნაციონალიზმისაკენ გადავარდნილა. შეუდგენია ჟენევაში „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი“ და გადაუწყვეტია საქართველოში დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაარსება. ამ „კომიტეტის“ ისტორიას გვიამბობს დღეს ანარქისტი ნ. მალალაშვილი უკიდურეს ნაციონალისტების გაზეთ „კლდე“-ს ფურცლებზე.

ჩვენი „ისტორიკოსი“ ცდილობს „კომიტეტის“ ნაღვაწევი ისე დაგვიხატოს, როგორც „ნამდვილი, აუცილებელი, მამულიშვილური მოქმედება“, „ნამდვილი გულწრფელი მამულიშვილური მოქმედება“. ეს კიდევ ცოტაა: მას ისე აქვს წარმოდგენილი საქმე, რომ ყველაფერი ის, რაც „კომიტეტმა“ გააკეთა, ეს იყო შორს გამჭვრეტელი პოლიტიკური ნაბიჯები, ეს იყო ნიადაგის მომზადება იმ საისტორიო ნაბიჯებისათვის, რომელიც დღეს გადადგა ქართველმა ხალხმა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება „კომიტეტის“ ისტორიკოსს მიაჩნია თავის ჯგუფის საქმეთ და იგი მზათ არის საქმე ისე წარმოგვიდგინოს, რომ მისმა ჯგუფმა „სამშობლო გაანთავისუფლა“, მიუხედავათ იმისა, რომ ყველაზე ძლიერი პარტია — სოც.-დემოკრატია — ამ განთავისუფლების წინააღმდეგი იყო და ყოველი ღონე იხმარა, რომ ეს განთავისუფლება არ მომხდარიყო.

„ბრძოლა თქვენსა (ს.-დ.-სა) და ჩვენ („კომიტეტის“) შორის სულ ამ საკითხის (დამოუკიდებლობის) გარშემო ტრიალებდა“, ეუბნება ბ. მალალაშვილი სოც.-დემოკრატებს: „იმ დროს, როდესაც ჩვენ ჯერ კიდევ აქ, სამშობლოში, საქართველოს განთავისუფლების იდეებზე ვლაპარაკობდით, თქვენ თქვენის გაზეთების ფურცლებზე დემოკრატიის მოღალატესა და შავრაზმელებს გვეძახდით. და ეხლა კი, როდესაც საქართველო თქვენდა უნებურათ განთავისუფლდა, თქვენ საქართველოს თავისუფლების დაცვის მონოპოლიას ითვისებთ, და მათ, ვინც სულ ამ თავისუფლებისათვის იბრძოდა, ისევ დემოკრატიის მოღალატეს უწოდებთ“.

საზოგადოთ, „კომიტეტის“ ისტორიკოსი ცდილობს საქმე ისე მოგვაჩვენოს, თითქოს ის ნაბიჯები, რომლებსაც დღეს სოც.-დემოკრატია სდგამს, ჟენევის ჯგუფის მიერ იყო გათვალისწინებული და სოც.-დემოკრატია დღეს ადგება სწორეთ იმ გზას, რომელიც „კომიტეტის“ მიერ იყო ნაჩვენები.

სოციალ დემოკრატიამ 1918 წელში აღიარა დამოუკიდებლობის საჭიროება. —„კომიტეტი“ კი „საქართველოს განთავისუფლებაზე“ ფიქრობდა ჯერ კიდევ ომის დასაწყისში, კიდევაც უფრო ადრე, დუშეთის ხაზინის გატაცებამდის.

სოც.-დემოკრატიამ ნოე რამიშვილის თაოსნობით ბათუმში ხელშეკრულობა ჩამოაგდო ოსმალეთთან.—„კომიტეტი“ —კი ამისთანა „კონტრაქტის“ ისე შეკვრაზე ომის დასაწყისშივე ფიქრობდა და კიდევაც შეადგინა ამ „კონტრაქტის“ პროექტი, რომელიც „ძალიან მიაგავს“ ნ. რამიშვილის მიერ შეკრულს კონტრაქტს.

სოც.-დემოკრატები დღეს გერმანიასთან იჭერენ კავშირს.—„ჩვენ“ კი გერმანიის მთავრობასთან მოლაპარაკება გვქონდა ომის პირველ წლებშივე.

სოც.-დემოკრატიული მთავრობა დღეს ჯარს ადგენს და ჯარში იღებს იმ ლეგიონის ჯარისკაცებს, რომლებიც „ჩვენ“ ოსმალეთში დავაარსეთ.

„კომიტეტის“ პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობას იქამდის მიუღწევია, რომ სოც.-დემოკრატების „მემორანდუმიც“ კი მათ ბაძავს და იხსენიებს იმავ ტრაქტატებს, რომლებზედაც „კომიტეტი“ ემყარებოდა.

ერთის სიტყვით, ყველა ის, რაც გააკეთა ქართველმა ხალხმა, სოც. დემოკრატიულ პარტიის ხელმძღვანელობით, კომიტეტის დამსახურებაა. ც სოც. დემოკრატები იმდენათ უმადურნი არიან, რომ „კომიტეტის“ მოღვაწეობას „დემოკრატიის მოღალატეობათ“, „ავანტიურისტობით“ და სხვა საწყენ სახელებით ნათლავენ.

მაგრამ მოგეხსენებათ, რომ კაცი თავის ნამოქმედარის „ისტორიკოსობას“, თავის ღვაწლის მიუდგომლად დაფასებას ვერ იკისრებს, რაც უნდა კარგი ისტორიკოსი იყოს ბ. ნესტორ მალალაშვილი, „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ ნამოქმედარს იგი მიუდგომლათ ვერ გააშუქებს, რადგან ამ „კომიტეტში“, რომელიც 4 კაცისაგან შესდგებოდა, თვით ბ. ნ. მალალაშვილი ერთ მეოთხედს ნაწილს შეადგენდა.

ჩვენს წინ დევს თვით ჩვენი „ისტორიკოსის“ ნაამბობი და, მეორე, „კომიტეტის“ მიერ ოსმალეთის მთავრობასთან შეკრული „კონტრაქტი“: ამ ორნაირი მასალის გარჩევა შეგვაძლებინებს ჩვენ სამართლიანი მსჯავრი დავდოთ „კომიტეტის“ ნამოქმედარს, ღვაწლათ ჩავუთვალოთ ის, რაც მის ღვაწლს შეადგენს, დანაშაულათ ის, რაც დანაშაულია.

ჩვენი „ისტორიკოსის“ სიტყვით „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი“ ომის დაწყებამდის დაარსებულა და თავისი ჟურნალიც კი ჰქონია—სახელათ „თავისუფალი საქართველო“, რომლის საშუალებითაც „კომიტეტი“ ცდილობდა სეპარატისტული იდეების გავრცელებას ქართველებში. რასაკვირველია, ეს იდეიური მუშაობა არავის არ ჩაეთვლება დანაშაულათ. ომის დაწყების შემდეგ „კომიტეტი“ იდეურ მუშაობიდან გადასულა პრაქტიკულ მოქმედებაზე და საქართველოს განთავისუფლების საქმისათვის საუკეთესოთ მიუჩნევია მოლაპარაკების გამართვა იმ სახელმწიფოსთან, რომელიც რუსეთს ეომებოდა— გერმანიასთან. „ჩვენ უნდა მივვემართა გერმანიის მთავრობისათვის წინადადებით, რომ მას ხელი შეეწყო საქართველოს განთავისუფლებისათვის და მხარი დაეჭირა მისთვის, როგორც ომის განმავლობაში, ისე საერთაშორისო კონფერენციაზე, სამაგიეროთ ჩვენ უნდა მიგვეღო გერმანიის ორიენტაცია“. ასე გვიამბობს ჩვენი „ისტორიკოსი“. ნება გვაქვს თუ არ დანაშაულათ ჩავუთვალოთ „კომიტეტს“ ასეთი ნაბიჯი?

ბ. ნესტორ მალალაშვილი გვიამბობს, რომ „კომიტეტი“ თითონვე გრძნობდა რომ მას არავითარი უფლება არ ჰქონდა ქართველ ხალხის სახელით ელაპარაკა ვისთანმე. „ომის დაწყებიდანვე ჩვენ მოვწყდით ჩვენს სამშობლოს და შეუძლებელი გახდა რაიმე კავშირის დაჭერა ჩვენს თანამოაზრეებთან. ამის გამო ჩვენ გადავწყვიტეთ მუშაობა არ შეგვეჩერებინა და გადაგვედგა შესაფერი პრაქტიკული ნაბიჯი ჩვენის პირადის პასუხისმგებლობით“. ასე ეპიურის გულუბრყვილობით აღგვიწერს „კომიტეტის“ ნამოქმედარს მისი „ისტორიკოსი“: „კომიტეტს“ არც კი სცოდნია, რა აზრისა არიან მისი ნაბიჯების შესახებ თვით მისი თანამოაზრენი, რომელთა რიცხვი, დაგვეთანხმებით, არც ისე დიდი იყო. მით უმეტეს „კომიტეტს“ არ ეცოდინებოდა, რა აზრისა იყო მის მიერ გადადგმულ დ დმნიშვნელოვან საკითხზე მთელი ქართველი ხალხი. მსოფლიო ომის დაწყებამ ბევრი იმისთანა საკითხები წარმოშვა ხალხთა ცხოვრებაში, პოლიტიკური პირობები იმდენათ შეიცვალა, რომ „სამშობლოს მოწყვეტილი“ „მამულიშვილები“ ვერ იქნებოდნენ დარწმუნებულნი, რომ ის ნაბიჯი, რომელსაც ისინი სდგამენ, სწორეთ შეეფერება სამშობლოს საჭიროებას და მას ზიანს არ მიაყენებს. საქმე არ სწორდება იმით, რომ ეს „პრაქტიკული ნაბიჯები“ „პირად პასუხისმგებლობით“ იქნა გადადგმული. საკითხი იმაშია, ნება აქვს ვისმე, თუ არა, თუნდაც „პირად პასუხისმგებლობით“ გადასდგას იმისთანა ნაბიჯი, რომელიც დაკავშირებულია მთელი ერის „ყოფნა-არყოფნის“ საკითხთან? ჩვენც სწორეთ იმას მოგახსენებთ, რომ „კომიტეტმა“ „პირადი პასუხისმგებლობა“ იკისრა იმისთანა საქმეში, რომელშიაც მას ნება არ ჰქონდა ეკისრა, თუ კი მას ესმოდა, რაც არის ჭეშმარიტი „პასუხისმგებლობა“. თუ კი მას ჰქონდა ცოტა მაინც შეგნება თავის მოქალაქეობრივ მოვალეობისა, მას უნდა სცოდნოდა, რომ თავის თავზე „პირადი პასუხისმგებლობის“ აღება იმისთანა საქმეში, რომელშიც ნება არა გაქვს აიღო „პასუხისმგებლობა“,—ეს გახლავთ ნამდვილი ავანტიურიზმი, ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით.

ის ნაბიჯი, რომელიც კომიტეტმა თუნდაც „პირად პასუხისმგებლობით“ გადასდგა საზღვარ გარეთ, შეიძლება საბედისწერო გამხდარიყო ქართველ ხალხისთვის. ყველას მოეხსენება, რა ელმაცერათ უყურებდა ომის დასაწყისში კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაცია ქართველ ხალხს. ყველას ახსოვს, როგორს კამპანიას ეწეოდენ ვარანცოვ-დაშკოვის კამარილის წინაშე ქართველ ერის წინააღმდეგ სასახლის დერეფნებში მოყიალე შოვინისტები. ამ შოვინისტების პოლიტიკა იქითკენ იყო მიმართული, რომ რომ მთავრობისათვის მთავრობის საშუალებით საზღვარზე მდგომ რუსის ჯარისათვის აღეძრათ ეჭვი ქართველთა ერთგულებაში რუსეთისადმი „ქართველებს გამოყოფა უნდათ რუსეთისაგან“, „ქართველებს თავისი მეფე უნდათ“,—აი პოპულიარული გამოხატულება იმ უნდობლობისა, რომელიც რუსეთის ჯარში იყო გავრცელებული. ყველაფერი ეს, რასაკვირველია, ხალისი ჭორი და ცილისწამება იყო. სეპარატისტული მისწრაფებანი სრულიად ფეხს ვერ იკიდებდა ქართველ ხალხში. მაგრამ ამ ჭორს და ცილისწამებას შეიძლებოდა საბედისწერო შედეგი მოჰყოლოდა: ყველას ეხსომება, რომ ერთხანს ოსმალეთის საზღვარზე მდგომ რუსეთის ჯარის აღშფოთება ქართველთა „სეპარატიზმის“ გამო იქამდის მივიდა, რომ ამ ჯარის ზოგიერთ ნაწილებს უნდოდათ უკან დაბრუნებულიყვნენ, ჯერ „ზურგთ უკან“ მოთავსებულ „მტერს“ გასწორებოდნენ და მერე ოსმალებთან ეომათ. და აი, ამისთანა სულიერ ატმოსფერაში ჩვენი „ჭეშმარიტი მამულიშვილები“ მოლაპარაკებას მართავენ რუსეთის მტრებთან, ქართველების საწინააღმდეგო აგიტაციას გასამართლებელ საბუთებს აწვდიან ხელში და გულს იმით იმშვიდებენ, რომ ყველა ამას სჩადიან „პირადი პასუხისმგებლობით“. ვის წინაშე „აგებდნენ პასუხს“ ეს ავანტიურისტი „მამულიშვილები“, მათი ოსმალეთთან „კონტრაქტი“ რომ ჩავარდნოდა ხელში, ვთქვათ, „დაშნაკელებს“, ამ „კონტრაქტით“ გამოწვეულ რუსეთის ჯარის სამართლიან გულისწყრომას რომ ქართველთა აკლება და განადგურება მოჰყოლოდა? მათი „პირადი პასუხისმგებლობა“ ჩირათაც კი არ ღირს, და მათი ასეთ „პასუხისმგებლობის“ მიჩემება ჭეშმარიტათ „სამშობლოს ღალატათ“ უნდა მოინათლოს, სულ ერთია, შეგნებით თუ შეუგნებლათ მათ ჩაიდინეს იგი „კომიტეტით“.

ასეთი გახლავთ „კომიტეტის“ მოქმედება ფორმალურის მხრით. L.

(დასასრული იქნება)

სალომე ქაიხოსროს ასული, დავით და მიხეილ კონსტანტინეს ძენი ლორთქიფანიძენი და ოლიმპიადა კონსტანტინეს ასული და შალვა ანტონის ძე მიქელაძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ძვირფასი შვილისა, მეორენი დისა და უკანასკნელი ცოლის დისა

## თამარ კონსტანტინე ლორთქიფანიძის ასულის გერელაშვილისას.

პანაშვიდები ყოველდღე სალამოს 5 საათზე განსვენებულის ბინაზე (მიხეილის ქ., სამხედრო სასწავლებელი). გამოსვენება კვირას, 24 ნოემბერს სახლიდან დილის 10 საათზე.

ოლღა დავითის ასული, სიმონ, ბუდუ, პავლე და ნიკოლოზ გურგენის ძენი მდივნები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას დაუვიწყარის დისწულის

## თამარ კონსტანტინე ლორთქიფანიძის ასულის გერელაშვილის

პანაშვიდები ყოველ დღე სალამოს 5 საათზე განსვენებულის ბინაზე (მიხეილის ქ., სამხედრო სასწავლებელი) გამოსვენება კვირას 24 ნოემბერს სახლიდან დილის 10 საათზე.

დაიგზავნებიან პროვინციებში. ჩვენ ცნობილნი ვიყავით პოლიტიკურ კამპანიებში ეხლა ესეც მოდუნდა და განახლებას მოითხოვს.

ჩვენ ახალი სახელმწიფო გვაქვს. ჩვენმა პარტიამ მხურვალი მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ სახელმწიფოებრივ შენებაში. როგორი უნდა იყვეს ჩვენი დამოკიდებულება სახელმწიფოებრივ დაწესებულებაში იქაც, საცა უმრავლესობას შევადგენთ და იქაც, საცა ოპოზიციაში ვიქნებით. დღემდე ყველა ჯგუფი მოქმედებდა სრულ დამოუკიდებლად, არა თუ ავტომატიურად. ამას ბოლო უნდა მოეღოს. ყველა დაწესებულებაში, საერობო იქნება ის თუ სხვა რამ, არიან ჩვენი ამხანაგები, რომლებიც ადგენენ ფრაქციას და მუშაობენ ერთგვარ ავტონომიურად: ტეხნიკურ და წვრილ კითხვებს იგი სწყვეტს, პრინციპიალურს კი ცენტრი (მაგ. სამაზრო კომიტეტი). პარტიული ორგანიზაციები, უნდა გახდენ მხოლოდ პოლიტიკური კონტროლიორები. თუ რამე უწორობა შენიშნეს სახ. დაწესებულებაში უნდა აცნობონ სამაზრო კომიტეტს მაინც და არა პირდაპირ ჩაერიონ. პირდაპირი ჩარევა არის სინდიკალისტური მოქმედება და არა მარქსისტული. მაშასადამე, მთავარ სახ. მუშაობას ხელმძღვანელობს ც. კ. ის ანარქიული და სინდიკალისტური მოქმედება, რომელიც ეხლა ზოგ ალაგას იჩენს ხოლმე თავს, უნდა გაუქმებულ იქნას. აგრეთვე უნდა მოისპოს ის ლიკვიდატორული შეხედულება, რომ ფრაქციები შეადგენენ პარტიას. ფრაქციები აღმასრულებელი ორგანოებია პარტიის და არა თვით პარტია. მათ დაკისრებული აქვთ განსაზღვრული პრაქტიკული ხასიათის საქმეების კეთება. ყველა ფრაქციები სისტემატიურად უნდა იძლეოდნენ თავის მოქმედებების ანგარიშს პარტიულ ყრილობებზე და სხვ.

რაც შეეხება დამფუძნებელი კრების არჩევნებს, აქ დიდი მუშაობა გვმართებს. ამ მხრივ ჩვენ სისტემა და გამოცდილება უკვე გვაქვს. საჭიროა ერთი ცენტრალური საარჩევნო კომისიის არჩევა და არჩევა ადგილობრივი კომისიებისა, რომლებიც მუშაობას შეუდგებიან. ამისთვის საარჩევნო ფონდის დაარსებაა საჭირო. ყრილობამ უნდა გამონახოს სახსარი ფინანსიური მოღონიერებისათვის. ჩვენ დიდი ბრძოლა დაგვჭირდება მომავალში და სრული იმედია, როგორც წარსულში, ისე ეხლა ჩვეულებრივ ენერგიით და ხალისით ვაწარმოებთ მას.

მოხსენების შემდეგ გაიმართა მცირე კამათი, საცა მონაწილეობა მიიღო რ. რამიშვილმა, გრ. კოპლატაძემ, ნ. იმნაიშვილმა და სალირაშვილმა. გადაწყდა რეზოლიუცია კომისიას გადაეცეს საბოლოო გამოსამუშავებლად.

—

**შეცდომის გასწორება.** მოხსენებაში ფინანსიური საკითხის შესახებ შემდეგი შეცდომა შეგვეპარა: 1) „სამხედრო და გზათა სამინისტროს ნაჩვენებ ხარჯებში შედის ნაწილი სალიკვიდაციო ხარჯებისა“; 2) „საფინანსო უწყებას დაუხარჯავს არა 1472 მ., როგორც ანგარიშშია ნაჩვენები, არამედ 1472 ათასი მ.“; 3) „ნორმალურ პირობებში ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტი უდრიდა დაახლოვებით 40 მილ. მან. (და არა 4 მილ); იყო წლები, როცა ასეთი შემოსავალი შეიძლება ვერც ფარავდა ადგილობრივ ხარჯებს, რადგან ჩვენში ბევრი კავკასიის ცენტრალური დაწესებულებები არსებობდა, მაგრამ იყო წლებიც, როცა შემოსავალი ხარჯებს 1 ნახევარ მილ. მან. აღემატებოდა“; 4) „ღვინოზე გადასახადმა, რომელსაც ახლა სამინისტრო იმუშავებს, უნდა მოგვცეს დაახლოებით 14 მილ. მ. (და არა მილიონის) შემოსავალი“.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

**შაბათს, სალამოს 6 საათზე შესდგება საქართვ. სოც.-დემ. მუშ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის კრება.**

◆ **იარაღი.** თფილისის მცხოვრებლებმა ნოემბრის 16 მდე საკომენდანტოს თავის ნებით ჩააბარეს შემდეგი იარაღი: რევოლვერები, სხვადასხვა სისტემისა 127, ვინტოვკები სხვადასხვა სისტემისა 306, პატრონები რევოლვერისა და ვინტოვკებისა—17,405 ცალი და სხვადასხვა ასაფეთქებელი ნივთიერებანი და ყუმბარები.

◆ **სანოვაგე.** სასურსათო საქმეთა დელეგატების ყრილობის მთავარი რწმუნებული ათაბეგოვი აუწყებს რკინის გზის ყველა უფროსებს, რომ სასურსათო კომიტეტი რკინის გზის მოსამსახურეებს ყოველგვარ სანოვაგისაგან უზრუნველჰყოფს.

◆ **მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო.** მუშათა და ჯარისკაცთა ძველი საბჭოს დავალებით სამანდატო კომისია შეუდგა მუშაობას. კომისია ამ დღეებში გამოაქვეყნებს ახალ საბჭოს წევრთა სიას.

◆ **ბინის საკითხი.** გზათა მინისტრმა ქალაქის მოურავს სთხოვა, რომ ბინების დაცლის დროს უპირატესობა მიეცეთ რესპუბლიკის გზათა იმ მოსამსახურეებს, რომელნიც ცენტრალურ დაწესებულებათა შექმნის დროს ჩამოვიდნენ თფილისში და უბინობის გამო დიდ გაჭირვებაში არიან.

◆ **სიძვირის გამო.** მთავრობამ ბაქოში ნავთეულობის შესაძენად გაგზავნა გზათა სამინისტროს საექსპლოატაციო ნაწილის უფროსი ტოლსტონოგოვი და სახელმწიფო კონტროლიორის წარმომადგენელი ქ. ყიფიანი, რომელთაც დღიურ ხარჯებისათვის 50 მანეთი დაენიშნათ, რადგან ბაქოში ამ ჟამად დიდი სიძვირეა, გზათა მინისტრი მთავრობის წინაშე შუამდგომლობს, რომ აღნიშნულ პირთ დღიურად 100 მანეთი დაენიშნოთ.

◆ **სახალხო გვარდიის დღე.** 29 ნოემბერს, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, გვარდიის დღის აღსანიშნავათ მორიგი ლექციები არ შესდგება.

— ქართულ ლექტორთა თავმჯდომარის ხელმძღვანელობით გაიმართება კონცერტი და წარმოდგენა, რომლის შემოსავალი გადაეცემა გვარდიის შტაბს.

◆ **საინფორმაციო ბიურო.** გარეშე საქმეთა სამინისტროსთან არსდება საინფორმაციო ბიურო, რომელიც პრესას მიაწვდის სხვადასხვა საჭირო ცნობებს.

◆ **მასწავლებლები.** საშუალო სასწავლებლების მასწავლებლებმა გადასწყვიტეს მთავრობის თავმჯდომარესთან გაგზავნონ დელეგაცია და სთხოვონ ჯამაგირების მომატება.

◆ **ფოსტა ტელეგრაფი.** ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი სთხოვს მთავრობას 493,000 მანეთს ტელეფონებისა და ტელეგრაფის ხარჯებისათვის.

◆ **წითელი ჯვარი.** რუსული წითელი ჯვრის საგანგებო რწმუნებული შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რათა მთავრობამ ნება დართოს რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოებას, საქართველოში დარჩენილ მის ქონების დაპატრონებისა.

◆ **სტატისტიკური განყოფილება** მიწათ მოქმედების სამინისტროსთან ახლად დაარსებულ სტატისტიკურ განყოფილებაში ამ დღეებში დაიწყება მუშაობა. ადგილების 1,500 მთხოვნელებისაგან მიიღებიან მხოლოდ 100 კაცი.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის** გამგეობამ გახსნა თავისი განყოფილება მუსულმანთათვის შეითან ბაზარში. სახალხო უნივერსიტეტს განზრახვა აქვს ლექციების საკითხავად მიიწვიოს ამხ. აიოლო.

◆ **გაზეთების შეწყვეტა.** ფულის გამოუგზავნელობის გამო დღეს გაზეთები უკანასკნელად ეგზავნება ხიდისთავის და ხონის ორგანიზაციებს.

### კ რ ე ბ ე ბ ი.

ხვალ სალამოს 5 საათზე, მეორე კომერციულ სასწავლებლის სადგომში, ჩუღურეთის უბანში მცხოვრებ ამხანაგების კრებაა. დასწრება სავალდებულოა.

— დღეს, სალამოს 7 საათზე, დანიშნულია სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალურ განყოფილების გამგეობის კრება.

— კვირას, 10 საათზე, პოლიტეხნიკ. ინსტიტუტის შენობაში (აუდიტორია № 2) შესდგება მარქსისტ სტუდენტთა ორგანიზაციების გამგეობათა შეერთებული კრება. ვსთხოვთ წევრებს დაესწრონ.

— კვირას, 24 ნოემბერს, დილის 9 ს. მედიკურ საზოგადოების შენობაში მოხდება თფილისის აფთიაქებში მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის საერთო კრება.

— დღეს, სალამოს 5 ს., მეორე რაიონის ბიუროს ბინაზე შესდგება ს. ს. დ. მ. პ. ქალთა კომიტეტის სხდომა.

### ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

**ძეგვი.** (ქართლი) კვირას, 24 გიორგობისთვეს, დანიშნულია საერთო კრება ძეგვის საზოგადოებისა, საჭიროა ყველანი დაესწრონ.

**მუკუზანი** (კახეთი). მუკუზნისა და ურიათუბნის შუა მდებარე „შავ ტყეში“ მეტად გახშირებულია ძარცვა-გლეჯა დღე არ გავა, რომ მგზავრები არ გაძარცვონ.

## ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

22 ნოემბერი.

### ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

პრეზიდენტი ვილსონი მონაწილეობს იმ თათბირში, რომლის მიზანია ზოგადათ განმარტოს ზავის პირობები.

გერმანიის სამხედრო გემებს 21 ნოემბერს ჩააბარებენ მოკავშირეთ ბრიტანიის ზღვაში. ბუდაპეშტიდან დეპეშით იუწყებიან, რომ ჰუნგრეთი რესპუბლიკათაა გამოცხადებული.

სამხედრო სამინისტროს აზრით სამხედრო მდგომარეობა შეუძლებლათ ხდის მოხდეს დემობილიზაცია, მცირე ნაწილების დემობილიზაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას მრეწველობის აღდგენა მოითხოვს.

ჰოლანდიაში ამ ჟამად სრული სიწყნარეა. ტრულსტრამ განაცხადა, რომ რევოლიუციონური მოძრაობა დამარცხდა.

ბრიუსელის და ანტვერპენის ოკუპაცია უკვე დასრულდა.

გენერალი პეტენი მეათე არმიით მეტცში გავიდა. მცხოვრებნი დიდის ალტაცებით შეხვდნენ. გენ. პეტენი საფრანგეთის ფელდმარშლად დაინიშნა.

საადმირალო აცხადებს, რომ ბრიტანიის სავაჭრო ფლოტს ოქტომბრის განმავლობაში 84000 წყალწყვის ზარალი მოუვიდა, იმ დროს როცა ნეიტრალურ და მოკავშირეთა სახელმწიფოების ზარალი 93000 წყალწყვას შეადგენს.

გერმანიის საადმირალო იუწყება, რომ 94 წყალქვეშა ნავი ზღვათ არის ჩასაბარებლათ და ყოველდღიურათ 20 ნავს ჩააბარებს.

ბელგიის მეფემ ალბერტმა იმ მიზნით, რომ შექმნას ახალი კაბინეტი, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები მიიღო.

### ᲑᲐᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

მოსკოვი 21 ნოემბერი. უკრაინის განთავისუფლება. სერედნა ბუდნა 20 ნოემ. გერმანელები ნაჩქარით სცლიან ჩერნიგოვის გუბერნიას. გაიდამაკები გარბიან, ჩვენმა ჯარმა გორელიე ხუტორა დაიპყრო. თეთრგვარდიელები ირაზმებიან დაჭფქრობენ უხოვიეცკიდან\[?\] გაგვიწიონ წინააღმდეგობა. მცხოვრებნი სიხარულით ეგებებიან განმათავისუფლებელთ. ბევრი იარაღს თხოულობს, უკრაინაში შესასვლელათ და ტანჯულ ძმების გასანთავისუფლებლათ. ბურჟუაზია და სპეკულიანტები გარბიან და თან მიაქვთ ძვირფასი ნივთები. დარჩენილ ქონებას ანადგურებენ. ავანტიურის მომხადება. შეთანხმების სახელმწიფოებმა მოწოდება გამოუშვეს სამხრეთ რუსეთის მცხოვრებლებისადმი. ისინი აცხადებენ, რომ სამხრეთ რუსეთში აპირებენ შესვლას რუსეთის აღხადგენათ და „უზურპატორ“ ბალშევიკების დასამხობათ. იქ მყოფ გერმანელთა და მოკავშირეთა მიზანი ერთი და იგივე—წყობილების დაცვა. მოსკოვი. 21 ნოემბ. ბალშევიკებს და მათ ამხანაგებს კანონი აღარ დაიცავს. სცნობენ მხოლოდ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლ ჯარს: მოხალისეთა, ყაზახთა და დამფუძნებელ კრებას. ყველა დანარჩენ ორგანიზაციას იარაღის ჩაბარებას მოსთხოვენ. **სტოკჰოლმი.** 19 ნოემბ. ვილსონმა აცნობა გერმანიის მთავრობას, რომ წესრიგის აღდგენა დროებითი ზავის უმთავრესი პირობაა. იმ შემთხვევაში თუ საბჭოთა რუსეთის ელჩი ბერლინში ჩავა, დროებითი ზავი დარღვეული იქნება. ნაუენი. 19 ნოემბერი. გერმანიის მთავრობამ აუწყა საბჭოთა რუსეთის მთავრობას, რომ რუსეთის წარმომადგენლის ჩამოსვლა ბერლინში, არა სასურველია დროებით. ბერლინი. 19 ნოემბერი. ებერტმა განაცხადა, რომ რეიხსტაგს აღარ მოიწვევენ. მას აზრათა აქვს დამფუძნებელ კრების მოწვევა 2 თებერვლისთვის. მაგრამ საეჭვოა, რომ ამ დროისთვის მოესწროს არჩევნები. **გამბურგი.** 19 ნოემბერი. რეველიდან იუწყებიან, რომ ქუჩებზე შეტაკებები გრძელდება. მუშებმა ხელთ იგდეს ტყვიამფრქვევლები. ბურჟუაზია შეშინებულია. ქარხნებში აირჩიეს კომიტეტები, სადაც უმრავლესობა კომუნისტია. გამოვიდა გაზეთი „კომუნისტი“. **კიევი.** 20 ნოემბერი. გაზეთების ცნობით შავი ზღვის ფლოტი ძლიერ დაზიანებულია. მათი შეკეთება ორი მილიონი მანეთი ეღირება და რამოდენიმე წელს გასტანს. თეთრ გვარდიელთა ბანაკში. **სამარა.** 20 ნოემბ. ურალზე თეთრ გვარდიელთა და მცხოვრებთა შორის დიდი უთანხმოებაა. **დონის როსტოვი.** 19 ნოემბერი. ყუბანის მთავრობამ აკრძალა უნებართვოთ ყოველგვარ ცნობის ბეჭდვა. მთავრობის წევრებს უფლება აქვთ დახურონ გაზეთი და რედაქტორი პასუხის გებაში მისცენ, თუ მთავრობის საწინააღმდეგო წერილი დაიბეჭდა. **ველსკი.** 19 ნოემბერი. არხანგელსკში შესდგა ახალი დროებითი მთავრობა, რომელშიც შედის: ჩაიკოვსკი, პოლკოვნიკი დუროვი, თავადი მურაკინი და რამდენიმე კადეტი. ძველი უმაღლესი მთავრობიდან ზოგი დაატუსაღეს, ზოგი გაიქცა. არხანგელსკის ბურჟუაზიამ გადასწყვიტა მთავრობაში შევიდეს, თუ მის შემადგენლობაში ჩაიკოვსკი მიიღეს. ბურჟუაზიასა და ინგლისის სარდლობის შორის უთანხმოებაა. არხანგელსკის თეთრ გვარდიელთა პრესის ოფიციალურ განყოფილებაში იბეჭდება სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტების კრიტიკული ახსნა განმარტება ჩაიკოვსკის და ზუბოვის მიერ ხელმოწერილი. **პეტროგრადი,** 21 ნოემ. პეტერბურგის სახალხო განათლების კომისარი ხსნის რამოდენიმე ახალ სასწავლებელს. **ვორონეჟი.** 20 ნოემბ. საბჭოთა გერმანელების ჟურნალისტების საოლქო კავშირი ხსნის ჟურნალისტების და ლიტერატურის საოლქო კურსებს. **თურქესტანი, ტაშკენტი.** 19 ნოემ. კასპიის იქითა ფრონტზე ჩვენმა ჯარმა ქ. მერვი მიატოვა და უკან დაიხია. ტაშკენტის სახალხო უნივერსიტეტთან გაიხსნა უმაღლესი სატეხნიკო კურსები. არსდება თურქესტანის დეპეშათა სააგენტო.

### ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ.

„ბერლინერ ტაგებლატი“ პოზნანში ახლო ხან მომხდარ ამბებზე ამბობს, რომ სჩანს მათ განზრახული აქვთ განსაზღვრულ მიზნის მიღწევა მანამდე, სანამ საზავო კონფერენცია შესდგება და პოზნანის პროვინცია პოლონეთის სამეფოს შეუერთონ. „ტაგებლატი“ ხაზს უსვამს იმას, რომ მხოლოდ საზავო კონფერენციას აქვს უფლება პოზნანის ბედი გადასწყვიტოს და პრეზიდენტ ვილსონის პროგრამის თანახმად პოლონეთს მიეკუთვნება მხოლოდ ის ოლქები, რომლებიც დასახლებულია პოლონელებით და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ამითი არ დაიბადება უთანხმოება და მტრული განწყობილება. „ბერლინერ ტაგებლატი“ სწერს, რომ პროვინციის მხოლოდ აღმოსავლეთი ნაწილია მჭიდროდ დასახლებული პოლონელებით, რომელნიც აქ 75% შეადგენენ, დასავ. ნაწილში კი ყველა მოსახლე ერი თანაბარი რიცხვისაა. აქ იბადება შიში, რომ უმცირესობას ძალას დაატანენ, განსაკუთრებით კი, თუ მხედველობაში მივიღებთ არსებულ შუღლს, რომელმაც გალიციაში ებრაელთა დარბევა გამოიწვია. მაგრამ პოლონელთა ცდა, დაუყოვნებლივ შეუერთონ პოლონეთს პოზნანის პროვინცია, დროებითი ზავის პირობებს სრულიად ეწინააღმდეგება. ამ პირობებში ნათლადაა ნათქვამი, რომ აღმოსავლეთში გერმანიის ჯარმა უნდა დაიხიოს 1914 წლის 1 აგვისტოს საზღვრამდე. ახალ მთავრობას არავითარი ცნობა არა აქვს იმის შესახებ, რომ მოკავშირეთ სურს პროვინცია პოზნანი გადასცეს პოლონეთს ამ საკითხის განუხილავათ. გაზეთი ფიქრობს, რომ ეს ფაქტი შედეგია იმ პოზიციის, რომელიც ამ უკანასკნელ დროს დაიჭირეს პოლონელებმა.

სტოკჰოლმის ებრაელთა ბეჭდვითი სიტყვის ბიურო იუწყება, რომ ვარშავაში პოლონეთის ლეგიონები ებრაელებს ავიწროებენ. ვარშავაში მოკლულია 1 ებრაელი. ქ. სედლეცში მოჰკლეს 6 ებრაელი.

გაზეთი აქვეყნებენ ცნობებს გერმანულ ჯარების აღმოსავლეთისკენ მოძრაობის შესახებ. ყოველდღე ფრანკფურტიდან 100000 კაცი მიმგზავრება. ამ ჯარისკაცთა უმრავლესობა მოდის ფრონტიდან და გარნიზონებიდან. ჯარისკაცებით მატარებლები წესიერათ დადის და ჯარის კაცთა შეჯგუფება არ ყოფილა. ამ ტრანსპორტების გარდა ყოველ დღე ფრანკფურტის სადგ. გადის 20 მატარებელი სხვადასხვა საქონლით დატვირთული. ჯარი იკვებება ფრანკფურტში, სადაც მხოლოდ მთავარ სადგ. ყოველდღიურად 10000 კერძი მზადდება. ჯარისკაცები ამბობენ, რომ ადმინისტრაცია ეხლა გაცილებით უკეთესად მოქმედებს ვიდრე ძველი რეჟიმის დროს. დისციპლინა დაცულია ყველგან. ჯარისკაცებსა, უნტერაფიცერებსა და ოფიცერთა შორის ამხანაგური დამოკიდებულებაა. მაგრამ ბევრ ალაგას ინციდენტი მაინც მოხდა, ვაგონების სახურავებზე მყოფი ჯარის კაცები გვირაბში გავლის დროს დაიხოცენ. ზოგი სახურავებიდან ძილის დროს დაბლა გადმოვარდა. მნახველების სიტყვით მაინც რეინზე გადასვლა სრულის წესრიგით მოხდა. მაინცში მიღებულ ზომების სისწორეს და მიზან შეწონილებას ამ კვირაში გამოცდა მოელის, რადგან 3 მრავალ რიცხოვან არმიას მოელიან. ჯარის გადასაყვანათ ააშენეს განსაკუთრებული ხიდი და შეადგინეს 1000 კაცისაგან სამოქალაქო გვარდია. ჯარის მოლოდინში ქალაქი მორთულია. ჯარის უმაღლესი სარდლობა ამტკიცებს, რომ ფრონტზე ჯარში სრული დისციპლინა იყო, და იმის გარანტიას იძლევა, რომ შესძლებს წესიერად დაშლას. კელნის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს საინფორმაციო ბიურო აცხადებს, რომ რეინის მარცხენა ნაპირზე დემობილიზაცია უახლოეს დღეებში გამოცხადდება. გაზეთის ცნობით გერმანიის 2 არმია ფოთში 400,000 კ. მეტი, 150,000 ცხენი აუარებელი საქონელი და ზარბაზნები, 5—6 დღეში უნდა გადაატარონ რეინზე. შეთანხმების სახელმწიფოთა მეციხოვნე ჯარებს ხუთ დეკემბერს მოელიან. მოწოდება რომელიც ბერლინის რად.-სად. დაგზავნა რამოდენიმე ევროპიულ ენაზე: „ყველა ქვეყნის ქალებო, ისმინეთ! ომის საშინელებისაგან და რეაქციონურ პრუსიციზმისაგან განთავისუფლებულნი, ჩვენ ვდღესასწაულობთ გერმანიის უდიდეს რევოლიუციას. საუბედუროთ, ახლოვდება შავი აჩრდილი, რომელიც ყველაფრის დამხობას ლამობს. დროებითი ზავის პირობები, რომელიც თქვენმა გამარჯვებულმა მთავრობამ შეკრა საიმპერატორო გერმანიასთან, მკაცრი და აუტანელია. საიმპერატორო გერმანია აღარ არსებობს. და მიიღეს რა მხედველობაში ეს ცვლილება, დროებითი ზავის პირობები შეამსუბუქეს. ადამიანობას მოკლებული იქნებოდა და არ შეეფერება იმ ერს, რომელმაც მიზნათ დაისახა სიმართლის გამარჯვება ძალადობაზე, დასტანჯოს საზიზღარ წყობილების უდანაშაულო და უიმედო\[?\] მსხვერპლნი. თქვენ, ყველა ქვეყნის ქალებო, თქვენი საძლევთო მოვალეობაა აღსდგეთ და ზიზღი გამოუცხადოთ ყოველგვარ ძალას, რომელიც შეეცდება ომს ომი მოაბას, შეაფერხოს ხალხთა დაძმობილება და ხელი შეუშალოს სამართლიან ზავის გამარჯვებას. ნუ დაუშვებთ, რომ მილიტარიზმის ავმა სულმა, რომელმაც ამდენი უბედურება მოგვაყენა, დააბრმაოს თქვენი ძლევა მოსილი ჯარი. დეე, ყველაფერი სიმართლემ და ჰუმანიზმმა გადაჭრას. შეაძულეთ ყველას ომი. ნუ გახდებით ავაზაკობის მონაწილე დაგვეხმარეთ ახალი ქვეყნის შექმნაში. თავისუფლების დროშა, რომელიც მთელი ქვეყნის თავზე ფრიალებს, უნდა გახდეს ხალხთა ძმობის დროშათ. აქეთკენ გიხმობთ თქვენ, ახალსახელმწიფოთა კავშირის ქალებო.

მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ ბავარიის ყოფილ მეფეს ლიუდვიგს სამშობლოში დაბრუნების ნება დართო. ლიუდვიგი თავის ოჯახით ვალდენბურგ-ამ-იემზეს სასახლეში დასახლდა. ანტვერპენიდამ მოსული ცნობის თანახმათ, გერმანიის ჯარის წასვლის შემდეგ ბრიუსელში ცარცვა გახშირდა. ორი რკინის გზის სადგურს ცეცხლი წაეკიდა.

„ფორვერტს“-მა გამოაქვეყნა დანიის რეიხსტაგის წევრის განზენის დეპეშა, რომელიც მან შლეზვიგის ოლქის ახალ პრეზიდენტს გაუგზავნა: სურსათის სიმცირემ, შიმშილმა და ეკონომიურ დეზორგანიზაციამ გერმანიის ხალხი ამ ჟამათ საშიშ მდგომარეობაში ჩააყენა. ამიტომ დანიის სკურფიურსტო ასოციაციის კომიტეტმა და პრეზიდენტმა, ჩრდილოეთ შლეზვიგში მოუწოდა ამ მხარის მცხოვრებლებს მიაწოდონ სურსათი იმაზე მეტი, რამდენიც მათ კანონით ევალებათ.

სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობებით 31 დეკემბრამდე გერმანიის ზარალი ასეთია: 1,580,000 კაცი მოკლულია, უგზო-უკვლოდ დაკარგულია 260,600 და 190,000 ტყვე. დაჭრილთა რიცხვი 4,000,000 აღწევს. ამ რიცხვში რამდენჯერმე დაჭრილნიც შედის.

კავკასიაში მყოფ გერმანულ ჯარების მთავარ სარდალი დეპეშით იუწყება, რომ კავკასიაში სრული სიწყნარე და წესიერებაა. გერმანიის ჯარი კარგ მდგომარეობაშია.

მოკავშირეთა ჯარის შტაბს საფრანგეთში, როგორც პოლონეთის ჯარის მთავარ-სარდალი, სთხოვს საფრანგეთის მთავრობას კეთილ ინებოს და მიიღოს აუცილებელი ზომები, რომ პოლონეთის ჯარი, რომელიც ამ ჟამათ საფრანგეთის ჯარში შედის, რაც შეიძლება მოკლე ხანში გადმოაგზავნონ პოლონეთში და შეუერთონ იმ ჯარს, რომელსაც მე ხელმძღვანელობ. პოლონეთის ერი, რომელმაც მრავალი განიცადა უცხოეთის ჯარის ოკუპაციის დროს, ამ ჟამათ არაჩვეულებრივ ენტუზიაზმით მოელის თავის სამშობლოში ნახოს მთელ ქვეყნიერობაზე გაფანტული შვილები. საფრანგეთის მთავრობის დადებით პასუხში პოლონეთის ერი დაინახავს საფრანგეთის პოლონეთისადმი კეთილ განწყობილების ახალ საბუთს. ხელს აწერს პილსუცკი“. ასეთივე შინარსის დეპეშა პილსუცკიმ გაუგზავნა გენერალისიმუს ფოშს და პრეზიდენტ ვილსონს.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲠᲝᲑᲐ

([illegible])

შევეხოთ ეხლა ჩვენი ახალი ერობის საექიმო სასანიტარო [illegible] მომავალ პერსპექტივებს და დავსვათ საკითხი: რომელ ტიპზე უნდა მოაწყოს ჩვენმა ერობამ საექიმო-სასანიტარო ორგანიზაცია, რომელი კონსტრუქციაა ჩვენი ერობისათვის უფრო ხელსაყრელი —მოსკოვის თუ ხერსონის? ჩვენი ერობისათვის ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ ხერსონის ტიპს ცოტაოდენი ცვლილებით, იმ მოსაზრებით, რომ ჩვენი მაზრები ისე, როგორც ხერსონის გუბერნიაში, დიდია; ხშირი კრებების მოწვევა ყოველი წვრილმანი საქმეების გასარჩევად ჩვენი ერობისათვის შეუძლებელი იქნება; ესეც არ იყოს, ყოველი წვრილმანი საკითხები თუ ჩვენმა ერობამ მრავალ რიცხოვან ყრილობებზედ გადასწყვიტა, მაშინ საქმეებს ყურადღებით ვერ განვიხილავთ, იმდენი საქმეები ექნება ჩვენს ერობას,—ეს დააბრკოლებს საქმის რიგზე და თავის დონეზე წარმოებას.

ამ მოსაზრებით, თანახმად ხერსონის საექიმო-სასანიტარო ორგანიზაციის ტიპისა, ჩვენმა ერობამ თავისი საექიმო-სასანიტარო ორგანიზაცია უნდა მოაწყოს შემდეგი სახით:

წელიწადში ერთხელ ორჯერ სამაზრო ერობის სასამართლოში მოხდება მთელი მაზრის ერობის ექიმების ყრილობა, რომელიც გაგრძელდება რამოდენიმე დღე და რომელსაც გარდა ერობის ექიმებისა, დაესწრება 3 ხმოსანი, საერობო კრების მიერ არჩეული სამაზრო საერობო გამგეობა სრული შემადგენლობით, ქალაქის გამგეობის წარმომადგენელი, ქალაქის და საერობო ვეტერინარული ექიმები, ფერშალთა და ბებია ქალთა წარმომადგენელნი და სამაზრო აფთიაქის გამგე. ეს ყრილობა საექიმო პერსონალის და ერობის წარმომადგენელთა იქნება კანონმდებელი ორგანო საექიმო-სასანიტარო საქმეში; თავმჯდომარეებს ამ ყრილობაზედ ერობის გამგეობის თავმჯდომარე, მდივნათ იქნება სანიტარული ექიმი; გაარჩევს ეს ყრილობა განსაკუთრებით მხოლოდ პრინციპიალურ საკითხებს, მოისმენს ანგარიშებს, ხარჯთ აღრიცხვებს, კომისიების დასკვნებს. მიმდინარე წვრილმანი საქმეების გასარჩევათ კი უნდა არჩეულ იქნას სანიტარული საბჭოები შემოკლებული სახით. სანიტარულ საბჭოებში შევლენ წევრებათ ისეთი პირები, რომელთაც მუდმივი ბინა ექნებათ საერობო სამმართველოს მდებარე ქალაქში; მაგალითად, 2—3 ქალაქში მცხოვრები ექიმი, საექიმო-სასანიტ. ყრილობის მიერ არჩეული, 1 საერობო ხმოსანი, საერობო კრების მიერ არჩეული, 1 გამგეობის წევრი, სამაზრო საერობო აფთიაქის გამგე და 1 ფერშალთა წარმომადგენელი. ასეთი შემოკლებული შემადგენლობის სანიტარული საბჭო, სანიტარული ექიმის მუდმივი თავმჯდომარეობით, რომელიც იმავე დროს მდივანია საექიმო-სასანიტარო ყრილობისა, შეიკრიბება ხშირ ხშირად საჭიროების დაგვარათ და გაარჩევს წვრილმან მიმდინარე საექიმო საქმეებს, თანახმათ პრინციპიალური დადგენილებებისა, რომელიც უკვე მიღებული იქნება საექიმო სასანიტარო ყრილობის მიერ. ასეთი სანიტარული საბჭო შეაგროვებს სტატისტიკურ მასალას და დირექტივებს მისცემს სანიტარულ ბიუროს, გაანაწილებს მუშაობას ექიმებს შორის, თვალყურს ადევნებს სანიტარულ დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას, გამოიკვლევს მაზრაში გავრცელებულ სნეულებებს, ანგარიშს წარუდგენს ყრილობებს და დაიცავს ამ ყრილობებზე საჭირო რეფორმებს.

სანიტარულ საბჭოს აღმასრულებელი ორგანო იქნება სანიტარული ბიურო, რომელიც სისრულეში მოიყვანს საექიმო-სასანიტარო ყრილობის და სანიტარულ საბჭოების დადგენილებებს და თანახმათ ამ დადგენილებებისა, აწარმოებს საექიმო სასანიტარო საქმეებს მთელს მაზრაში.

ასეთი უნდა იქნეს საერთოთ კონსტრუქცია ჩვენი საერობო საექიმო სასანიტარო ორგანიზაციისა, თუ ჩვენ გვინდა ვისარგებლოთ ჩვენი საერობო საქმეების მოწყობის დროს რუსეთის ერობის წარსული და აწმყო ცხოვრებით, მისი გაკვეთილებით.

როდესაც ჩვენი ერობა მიიღებს ამა თუ იმ კონსტრუქციას საექიმო სასანიტარო დარგისათვის, შემდეგ ამ კონსტრუქციის თანახმათ და მსგავსათ მოაწყობს საერობო მოქმედების დანარჩენი დარგებიც, როგორც მაგალითად სასკოლო, სამეურნეო, ვეტერინარული და სხვ. ამრიგად, საექიმო-სასანიტარო საბჭოების გვერდით ჩვენ ვიხილავთ საბჭოებს სასკოლოს, სამეურნეოს, ვეტერინარულს და სხ.

შევეხოთ ეხლა გაკვრით თვით საექიმო საქმის მოწყობას ჩვენს ახალ ერობაში.

შევადაროთ ამ მხრით ყოფილი საქართველო საერობო რუსეთს. საერობო რუსეთში თითო მაზრას, რომელიც გაცილებით პატარაა ჩვენს მაზრაზე, ყავს დაახლოვებით 15 საერობო ექიმი, ჩვენს უერობო საქართველოში კი დღემდის მაზრას მხოლოდ 2 ექიმი ყავდა. საექი-

მო რაიონის ფარგალი საერობო რუსეთში უდრის 450 კვად. ვერს, ჩვენში კი 285,637 კვად. ვერს.

თითო ექიმს რუსეთში მოსდის 15 ათასი სული, ჩვენში კი 51,258 სული.

საერობო რუსეთში თითო მცხოვრებზე ერობა ხარჯავს საექიმოთ წლიურათ 75 კ., ჩვენში კი 13 კ.

ამ შედარების შემდეგ ჩვენ განვმარტოთ, როგორი უნდა იყოს საერთოთ „ნორმალური საექიმო უბანი“.

რამდენათაც მოსახლეობა მჭიდროა, იმდენათ საექიმო უბნის ფარგალი პატარა უნდა იქნას, საერთოდ უბანი, რომელსაც აქვს 10 ვერსის რადიუსიანი ფარგალი, ითვლება ისეთ უბნათ, რომელიც ექიმს შეუძლია შემოიაროს, დაათვალიეროს, შეისწავლოს და უპატრონოს.

40 ავათმყოფი—ეს ის კონტინგენტია, რომელიც ექიმს შეუძლია ყოველ-დღიურად მიიღოს ამბულატორიაში, რიგიანად და საფუძვლიანად გასინჯოს;—თუ ამაზე მეტი ავათმყოფები მას არ ეყოლება, მაშინ მას შეუძლია მოუაროს მწოლიარე ავათმყოფებს, გააკეთოს ოპერაციები, ინახულოს ბინაზე მძიმე ავათმყოფები, ებრძოლოს ეპიდემიებს და სხ.

თუ ეს საზომი მივიღეთ ნორმათ, მაშინ ჩვენი ერობის საექიმო უბანი იქნება 400 კვად. ვერსიანი ფარგალი.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ თითო მცხოვრები თითოჯერ მაინც მიმართავს ექიმს საექიმო დახმარებისთვის, უნდა ვიანგარიშოთ, რომ საექიმო უბნის მცხოვრებთა რიცხი არ უნდა აღემატებოდეს 14,000 (40+360=14,000).

რამდენ საწოლიანი საავათმყოფო დასჭირდება ამა თუ იმ საექიმო უბანს?

თუ ჩვენ ვიცით საექიმო უბნის მცხოვრებთა რიცხვი, ადვილად გამოვიანგარიშებთ, თუ რამდენ საწოლიანი საავათმყოფოა ამ უბნისთვის საჭირო. ჩვეულებრივათ 1,000 მცხოვრებს ჰყოფნის ერთი საწოლი. მაშასადამე 14,000 მცხოვრებიან საექიმო უბანს სჭირია 14 საწოლიანი საავათმყოფო. ამ რიგათ, ჩვენმა ახალმა ერობამ საერობო საავათმყოფოების დაარსების დროს უნდა იხელმძღვანელოს ასეთი ნორმებით: თითო საექიმო უბანი 10 ვერსიან რადიუსის ან 400 კვად. ვერსიანი ფარგალით, 14,000 მცხოვრებით, 14 ლოგინიანი სტაციონალური განყოფილებით და ყოველ-დღიური 40 ამბულატორიულ ავათმყოფთა კონტინგენტით.

თუ პირველ ხანებში ჩვენი ერობა ვერ შესძლებს განახორციელოს ეს ნორმა სრულის სახით, საჭიროა განახორციელოს ის ნახევრათ ან მესამედათ.

**მოხსენების დებულებები:**

1) საექიმო სასანიტარო საქმის მიზანშეწონილად საჭიროა ჩვენმა ერობამ თავის მოქმედების დასაწყისშივე შექმნას სამაზრო საექიმო სასანიტარო ორგანიზაცია.

2) ჩვენი საერობო საექიმო-სასანიტარო ორგანიზაციის შექმნის დროს დავიწყებულ უნდა იქმნას, რუსეთის ერობის მმართვა-გამგეობის ძველი ბრძანებითი და მონარქიული სისტემები და მიღებულ იქმნას კოლეგიალური სისტემა კოლეგიალური ორგანოების შემწეობით, რომელშიაც შევლენ როგორც საქმის მცოდნე სპეციალისტები, ისე საზოგადოების წარმომადგენელნიც (ერობის გამგეობის წევრები და ხმოსნები).

3) ჩვენმა ერობამ სანიტარული საბჭოს კონსტრუქციის არჩევანში უნდა მიიღოს სანიტარული საბჭოების ხერსონის ტიპი იმ ცვლილებით, რომ საერობო საექიმო პერსონალის და ერობის წარმომადგენელთა ყრილობის გვერდით, რომელიც კანონმდებელი ორგანო იქნება საექიმო-სასანიტარო საქმეში, იარსებებს შემოკლებული სახის სანიტარული საბჭოები სანიტარული ბიუროებით, როგორც აღმასრულებელი ორგანო.

4) სანიტარული საბჭოების ტიპის მსგავსათ უნდა მოეწყოს ერობის მოქმედების დანარჩენი დარგებიც: საბჭოები სასკოლო, აგრონომიული, ვეტერინარული და სხ.

5) საერობო საავადმყოფოების დაარსების დროს ჩვენმა ერობამ უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი ნორმებით:

თითო საექიმო უბანი 10 ვერსიან რადიუსის ან 400 კვად. ვერსიანი ფარგლით, 14,000 მცხოვრებით, 14 ლოგინიანი სტაციონალური განყოფილებით და ყოველ დღიური 40 ამბულატორიული ავადმყოფთა კონტინგენტით.

ექიმი ხევ ჭოლოშვილი.

## ს.-დემ. პარტიაში

**ს. ბეკამი** (კვიშხეთის საზ.). 17 ნოემბერს შესდგა ადგილობრივი ორგანიზაციის სოც.-დემ. მ. პ. წევრთა საერთო პარტიული კრება. კრებას დაესწრო წევრთა დიდი უმრავლესობა. დღის წესრიგში იქნა შეტანილი შემდეგი კითხვები: 1) მიმდინარე მომენტი, 2) დაშნაკელების შესახებ, 3) გაზეთის გამოწერა ორგანიზაციისთვის, 4) ამხანაგების საყურადღებოდ, 5) ამხანაგ ვ. ძულიაშვილის და გ. ლამბაშიძის საქმე, 6) ღვდლის შესახებ, 7) ჩამორთმეული მიწების დანაწილება და სხვადასხვა საკითხები. მიმდინარე მომენტზე, დაშნაკელების შესახებ და გაზეთის გამოწერაზე ამხ. ლ. მეტრეველი აკეთებს მოხსენებას. მოისმინა რა კრებამ ამხ. ლ მეტრეველის მოხსენება, გამოიტანა შემდეგი რეზოლიუციები: 1) ის იწონებს მთავრობის აქამდე გადადგმულ ნაბიჯებს. მომავალშიაც იგი ენდობა ამავე მთავრობას და მხარს უჭერს მთელ საქართველოს სოც.-დემ. ორგანიზაციებს 2) სომხების ნაწილების მიერ საზღვრების გადმოლახვა, ხიდის აფეთქება და სხვა მათი მოქმედება დიდ სიძულვილს იწვევს ჩვენს შორის, მაგრამ ამაში დამნაშავენი არიან, არა მთელი სომხეთის ხალხი, რომელიც მუდამ ჩვენთან არის, არამედ სომხეთის შოვინისტური პარტია დაშნაკციუთუნი, რომელიც პროვოკაციას იწევს ჩვენი მთავრობის წინაამდეგ და უნდა შურისძიება და სიძულვილი ჩამოაგდოს მეზობელ ერთა შორის. ჩვენ ვიცხოვრებთ ისე, როგორც დღემდის და არავითარ შურისძიებას და სიძულვილს ჩვენ და სომხებს შორის ადგილი არ ექნება. 3) აუცილებლათ იქნეს გაგზავნილი რედაქციაში გაზეთის ფული პირველ დეკემბრამდე, რომ პირველისთვის მაინც მიიღოს გაზეთი. ღვდლის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ნ. გაბრიაშვილი. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მღვდელი თხოულობს წლიურათ ორ ჩანახ პურსა კომლისაგან და ნათლობაზე, ჯვრის წერაზე, მკვდრის გაძღოლაზე და სხვა რაიმე საქმეზე, მაგ. მეტრიკის დაწერა, იგი აიღებს იმდენს, რამდენსაც თვითონ მოისურვებს და მასთან, თუ პეტრემ ან პავლემ მისი მოთხოვნილება არ დააკმაყოფილა, ან და თუ ცუდ ამინდში ურემს არ მიართმევს, იგი უარს აცხადებს მთელ სოფლის სამსახურზე. ამისათვის კრებამ გადასწყვიტა: მოწვეულ იქნეს მომავალ კვირას საზოგადო კრება, კრებაზე მოიწვიონ აგრეთვე მღვდელიც, ხალხმა წარუდგინა მას თავისი გადაწყვეტილება, თუ რა პირობებში უნდა იმსახუროს. თუ მღვდელმა არ მიიღო ხალხის პირობები, გადაყენებულ იქნეს იგი და, რადგანაც სოფელს ულვდლოთ არ შეუძლია არსებობა, მოიწვიოს სხვა მღვდელი. ჩამორთმეული მიწების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. დონგაძე. კრებამ ერთხმად აირჩია კომისია 6 კაცისაგან, რომელიც დროებით დაანაწილებს მთავრობისაგან ჩამორთმეულ მიწებს უმიწო გლეხებს შორის და, როდესაც იქნება მოწვეული მომრიგებელი კომისია, წარუდგინონ მას თავიანთი გეგმა მიწების დანაწილებისა გლეხებს შორის. თუ მომრიგებელ კომისიამ არ სცნო მიწების დანაწილება კანონიერად, ხელმეორედ იქნეს დანაწილებული. და მასთან კრებამ დაადგინა, რომ მიწა იქნება დარიგებული გამოსყიდვით, თუ წლიური გადასახადით, იგი ემორჩილება მთავრობის ყოველივე დადგენილებას. კომისიაში იქნა არჩეული: თვით ბეკამიდან: პ. მარნაძე და გორა ხინჩაკაძე; ბარბაქაძეების უბნიდან: მიხა ბარბაქაძე და ზ. მარნაძე; კიკაძის უბნიდან: პავლე კიკაძე და ვ. ბლიაძე. ამხ. ძულიაშვილის და ლამბაშიძის საქმეზე თვით ძულიაშვილი აკეთებს მოხსენებას. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ლამბაშიძეს, ხუთი-ექვსი წლის გაყიდული მიწა ძულიაშვილზე, დღეს ძალით წაურთმევია, მასთან იქნა წამოყენებული ნასყიდობის ქაღალდი, რომელზედაც ხელი ეწერა თვით ლამბაშიძეს. სცნო რა კრებამ ეს უკანონოდ, ერთხმად დაადგინა: მოწვეულ იქნეს ლამბაშიძე საზოგადო კრებაზე, გამოეცხადოს მას ბოიკოტი და ჩამოერთვას უფლება მიწის მიღებისა. ამხანაგების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ლ. მეტრეველი. კრებამ ერთხმად დაადგინა: ვინც სისტემატიურათ არ ივლის კრებებზე და უმიზეზოდ გამოუშვებს სამ კრებას, გამორიცხული იქნება პარტიიდან.

ვ. ნიკოშვილი.

## მუშათა შორის

**პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მუშათა კლუბი.** დიდიდან თავისუფლების მოპოვებისა თფილისის პროლეტარიატმა, მიზნათ დაისახა ერთგვარი განათლების ტაძარი შეექმნა და სწორეთ ასეთი ტაძრის აშენება იკისრა პროფესიონალურმა კავშირთა საბჭომ, როგორც თფილისის პროლეტარიატის წინამძღოლმა.

ავად იყო თუ კარგად, თუ მივიღებთ მხედველობაში საბჭოს ფინანსიურ უშწეო მდგომარეობას, დავინახავთ, რომ საბჭომ ასეთი ტაძრის შექმნა მოახერხა მუშათა კლუბის გახსნის სახით (მიხეილის ქ. № 65) იმ იმედით, რომ ყოველი დემოკრატი, საზოგადო მოღვაწე მას ამ საქმეში ხელმძღვანელობას და ზნეობრივ ქონებრივ დახმარებას აღმოუჩენდა. სამწუხაროდ, ზემოდ ჩამოთვლილი იმედები საბჭოს არ გაუმართლდა და ეს მძიმე ტვირთი მას საკუთარ ძალღონით შექმნა საზიდავი. სწორედ ამითი აიხსნება ის ცოტაოდენი დეფექტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა კლუბის ექვსი თვის არსებობაში.

ასეთ პირობებში თავის-თავად ცხადია კლუბს ბევრი რამის გაკეთება არ შეეძლო, მაგრამ ის რაც გააკეთა თვით განვითარების საქმეში—არც თუ ისე მცირეა. ძალიან ცუდ პირობებში უხდება ამ კლუბის გამგეობის წევრებს ოთხიოდე ამხანაგს მუშაობა. არ იქნა და არა, ჩვენი მოწინავე მუშები ვერ შეურიგდნენ იმ აზრს, რომ თუ მათ არ მიიღეს აქტიური მონაწილეობა ყოველგვარ კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაში, ისე ამ კულტურული დაწესებულების არსებობა შეუძლებელია. თითონ ჩვენ მოწინავე მუშებმა, უნდა გავაღრმავოთ და გავაფართოვოთ კულტურული მუშაობა. იმის მაგიერ, რომ ჩვენთან ერთად ხელი ხელ ჩაკიდებული ემუშავნათ ზოგიერთ მოწინავე მუშებს, რაზედაც ჩვენ მრავალჯერ მოუწოდეთ, ისინი დღესაც განაგრძობენ „კრიტიკის“ წარმოებას. მე საზოგადოთ წინააღმდეგი არა ვარ კრიტიკის, კრიტიკა პირიქით თვალის ამხელია, ყველა შეცდომების მაჩვენებელია, მაგრამ კრიტიკა კრიტიკიდან განირჩევა და ესეც საყურადღებოა.

მიუხედავად ზემო ჩამოთვლილ დაბრკოლებებისა, კლუბის გამგეობამ კულტურულ მუშაობასთან ერთად შესძლო ყურადღება მიექცია იაფ ფასიან სასადილოს გახსნაზე—და დიდი შრომის შემდეგ ქალაქთა კავშირის დახმარებით შესძლო ასეთის გახსნა, სადაც ამ სიძვირის დროს ორ ულუფასაგან (პურით) შემდგარ სადილით უმასპინძლდება მსურველთ. ჩვენი წმინდა მოვალეობაა გამგეობას ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოთ.

გ. პაიჭაძე.

## პროვინცია

**გურია.** ყველასათვის ცხადია, რომ სიფხიზლის, სკოლების სიმრავლის და საერთოდ კულტურას მხრივ გურიას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მთელს საქართველოში. გურიაში ვერ ნახავთ ვერც ერთს მივარდნილ სოფელს, სადაც არ არსებობდეს სკოლა, წიგნთსაცავ-სამკითხველო, კოოპერატიული და წვრილი კრედიტის ამხანაგობანი. ამ ბოლო დროს მთელი გურია დაიქსელა უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლებით. ვერ ნახავთ ვერც ერთ საზოგადოებას მთელ ოზურგეთის მაზრაში, რომ არ არსებობდეს თითო თუ ორი უმაღლეს დაწყ. სასწავლებელი საზოგადოებაში.

ომისაგან მიწასთან გასწორებული გურიის ზოგიერთი საზოგადოების მცხოვრებნი არ უშინდებიან დღევანდელ ცხოვრების მწვავე პირობებს და ხშირად შუამდგომლობენ სახ. გან. სამინისტროს წინაშე ნებართვისთვის, რათა უკანასკნელმა დართოს ნება უმაღლეს პირ. დაწყ. სასწავლებლის გახსნისა და საამისო თანხასაც აგროვებენ.

ცხადია ერთი, რომ მრავალი სასწავლებელთაგანი დაიხურება, რადგან ვერც ხაზინა და ვერც ერობა ვერ შესძლებს თითეულ საზოგადოებაში ორი უმაღლეს დაწყ. სასწავლებლის შენახვას დღეს.

რამდენად მდიდარია გურია საზოგადო განათლების ტიპის სასწავლებლებით, იმდენათ ღარიბია ეს მხარე სპეციალურის, სამეურნეო სასწავლებლებით. მიუხედავათ იმისა, რომ გურიის ზოგიერთს თვალსაჩინო პუნქტებში მომზადებული აქვს ნიადაგი სამეურნეო სასწავლებლებს, დღემდის სწავლა-განათლების მოყვარულ გურიას არ მოუპოვება სამეურნეო სასწავლებელი.

ჩვენი ქვეყანა, მეურნეობის ქვეყანაა. მის მრავალ ფეროვან კუთხეებში დიდძალი უხინარი და ულეველი სიმდიდრეა გაბნეული, რომლის საფუძვლიანად გამოკვლევა-დამუშავება და ცხოვრებაში გამოყენება ასე საჭიროა დღეს ჩვენთვის. საჭიროა სამეურნეო კულტურის ამაღლება ხალხში სამეურნეო სასწავლებლების რიცხვის გამრავლებით.

დაუყონებლივ საჭიროა სწავლა-განათლების მოყვარულმა გურიამ თვალსაჩინო ნაბიჯი გადადგას ამ მხრივ და სწავლა-განათლების საქმე შეუფარდოს დღევანდელს ეკონომიურს ცხოვრებას. გურიაში ხალხი დღევანდელს ეკონომიურს კრიზისის დროს სამეურნეო ცოდნით აღჭურვას საჭიროებს, რასაცა ასე მოუთმენლად ელის ხალხი, თუ მას ამის საშუალება მიეცემა. ხალხს უნდა ხელმძღვანელობა და ის მზად არის უკანასკნელი გროშები მოახმაროს თავის კეთილ-დღეობას. გურია შედარებით სხვა კუთხეებზე უმიწაწყლო მხარეა, სადაც მეურნეობა და მიწის დამუშავება პრიმიტიულის წესით ხდება. მიუხედავად ამისა, აქ საუცხოვო ნიადაგი აქვს ლიმონ-მანდარინ ფორთოხლის, ჩაის და თამბაქოს კულტურის განვითარებას. ეს ადრევე შენიშნეს აქაურმა მეურნეებმა და დღეს მრავალს ოჯახის ბაღებს ამშვენებს მშვენიერი ტროპიკული მცენარეები. დღეს ყველა ხედავს, რომ ჩვენი ეკონომიურად აღორძინება და წინსვლა სამეურნეო კულტურის ამაღლებით შეიძლება.

სამეურნეო სასწავლებლისთვის ნიადაგი მომზადებულია ნიგოითის საზ. ს. ქვიანში, სადაც უკვე ხალხს შეძენილი აქვს ვეებერთელა შენობა, რამოდენიმე დესიატინა მიწით, რომელიც ირწყება მოხერხებულათ. სადგურ ნიგოითის სიახლოვე, ადგილ მდებარეობა და სხვა პირობები მეტად ხელს უწყობს სამეურნეო სასწავლებელს, რომელიც დიდ სამსახურს გაუწევს ფართო საზოგადოებას ს. ქვიანიდან. მეორე სასწავლებელი კი შეიძლება გაიხსნას აკეთის საზოგადოებაში, საცა აგრეთვე დაწყებული აქვს ხალხს ზრუნვა ამ საგანზე. იმედია ოზურგეთის სამაზრო ერობა, როცა ის შეუდგება სწავლა-განათლების საქმის მოგვარებას გურიაში, ნაბიჯს გადასდგამს სამეურნეო სასწავლებლების დაარსების საქმეში გურიაში და ხალხს ააცდენს დღეს კარზე მომდგარს ეკონომიურს კრიზისს.

სტ. ნიკოლაიშვილი

## თეატრი და ხელოვნება

(შაბათის კონცერტის გამო).

ჩვენმა ახალგაზრდა სამუსიკო საზოგადოებამ სერიოზული ყურადღება მიიქცია ამ მოკლე ხანში მუსიკოსებისა, თავის საინტერესო კონცერტებით, როგორც მუსიკალურის, აგრეთვე შინაარსის მხრივ.

დაარსა ორი სტიპენდია განსვენებულ უწმიდეს საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის კირიონ II და დ. ზ. სარაჯიშვილის სახელისა, რომელთაც სამუსიკო სკოლას აღმოუჩინეს მატერიალური დახმარება. ჰმართავს შეგირდებისათვის და მშრომელ ხალხისათვის უფასო კონცერტებს მათ გასანვითარებლათ და გასართობათ.

შეუდგება სხვადასხვა ისტორიულ ლექციებს ქართულ და სხვა ერების მუსიკის შესახებ.

მოაწყობს ქართულ ოპერის განვითარებას, ქართ. სამუსიკო-საზოგადოების გამგეობა ფართოდ გვიშლის თავის სურვილს და ცხოვრების გეგმას. ჩვენც მოვალენი ვართ მხარი დაუჭიროთ ამისთანა სასარგებლო და კეთილ მიმართულობას. ჩვენი თანაგრძნობა გამოიხატება იმაში, რომ დავესწროთ ქართ. სამუსიკო საზოგადოების გამართულ კონცერტებს და ჩავეწეროთ მის წევრებათ.

ქ.

## წერილი რედ. მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ მოათავსოთ შემდეგი: ქ. ფოთის სოც. დემ. ქალთა საზოგადოებას უცხადებ გულითად მადლობას, რომელმაც ფულით 200 მ. დახმარება აღმომიჩინა და მით მომცა საშუალება განვაგრძო სწავლა.

ანნა პრაციშინა.

—

ამხ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადაუხადო ამხ. ქ. მგალობლიშვილს, რომელმაც ბეილითის სკოლას შემოსწირა 200 მანეთი თავისი დედის დასაფლავების დღეს, მისი ხსოვნის აღსანიშნავათ.

ვ. მამალაძე.

## განცხადებანი


**ქართული ლატარია**

მოქალაქენო! დაუმტკიცოთ ურწმუნოებს, რომ რაკი საჭიროება მოითხოვს

**საქართველო შესძლებს**

მისი უნივერსიტეტისა და თეატრისათვის **ხუთი მილიონი** შეაგროვოს.

**სუყველაფერში ნუ დავაწვებით ხაზინას!** მაშ გავეშურნეთ და ყველამ, დიდმა და პატარამ, საცა კი გამოცხადებულია, შევიძინოთ ქართული ლატარიის ბილეთები. თუ ჩვენებურათ, ერთსულოვნად მოვინდომებთ წლეულს, შობამდე შევსძლებთ ამ თანხის მოგროვებას. (3—1)

ექიმი
**იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე**
ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ სალამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

**მედ. ქალი რ. ბ. შიშლო-საბაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და [illegible] მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბუთო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და სადამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

**ექიმი დ. ი. ჟაჟანიძე**
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65

მედიცინის დოქტორი
**ა. ვ. მაჭავარიანი**
იღებს ქირურგიულ და შინაგან ავადმყოფებს 5—7 ს. ყოველდღე, გარდა კვირისა. მიხეილის ქ. № 111. სახლი ადამოვისა, 2 ფლიგელი. ვილის ტელ. № 49.

კბილის საექიმო კაბინეთები
**თედორე ხაყვარელის ძე ცხომელიძისა**
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ექიმი
**დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სივიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიღება სად. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (დიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

სამკურნალო კაბინეთი
**ექიმ ალექსანდრე დავითის ძის**
**კეკელიასი**
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

**მიხეილის ქერძო სამკურნალო**
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.

ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. და ქალ. 11—12 ს., მ. ი. გაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. სად. 5—6 ს., ქ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.

მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობელისა და ი. ნ. ტერ-აკოფოვის ზედამხედველობით.

**ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი**
(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) [illegible] ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—6 [illegible] ბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

**ექიმი ბ. მ. მუხაძე**
იღებს სდლოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. [illegible] ტელ. № 5—77.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
**გ. გ. მეგრაბიანცი**
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ფლქისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენიიდი და არსეგალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველდღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

**ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე**
**მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

**ექიმი მ. ა. შაფრანი.**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

ექიმი
**ა. ნ. შატილოვი**
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლ. არს. ქართ. წარ. მძარ. წრე. **სახალხო სახლი.**

კვირას, 24 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება:

**გამცემი**

დრამა 3 მოქ. ი. გედევანიშვილისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ ნნი: ს. ანკარა, ე. იანქოშვილი, ს. რომანიშვილი დგებუაძისა, ბ ნნი: მ. მამაჯანოვი, ა. მეტრეველი, ი. რომანიშვილი, ა. თავდგირიძე, ნ. ჭანკვატაძე.

დასაწყისი სად. 7 საათზე. ადგილების ფასი 3 მ.—50 კ.-მდე. ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 12—2-მდე და საღამოს 6—8 საათამდე. შემდეგი წარმოდგენა 28 ნოემბერს. რეჟისორი ი. ბარველი.

**სახელმწიფო თეატრი**

შაბათს, 23 ნოემბერს

ტ. ი. საბანეევას. ბ. ზალიპსკის, პოლიაევის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება **ტრავიატა** ოპერა 4 მოქმედ., მუსიკა ვერდისა.

ფასები დაწეულია. დასაწყისი 7½ საათ.

**ანონსი:** კვირას, 24 ნოემბერს, დილით—„ფაუსტი“, საღამოს—„ტოსკა“, სამშაბათს, 26 ნოემბერს—„სევილიელი დალაქი“.

23—24 ნოემბერს მოხდება ექიმის თანაშემწეთა პროფესიონალურ კავშირის

**წევრთა კრება**

განსახილველია: 1) საზოგადოების გაეროვნება,
2) მომავალი დელეგატთა ყრილობა, და სხ.

კრება დაიწყება საღამოს 5 ნახევარ საათზე. პუშკინის ქ. № 10, ქალ. საავადმყ.

**საქართველოს პარლამენტის**

და მთავრობის დაწესებულებათა მოსამსახურეების ეკონომიური საზოგადოების გამგეობა იწვევს მათ, ვისაც შეუძლია მიაწოდოს საზოგადოებას შეშა, ქართოფილი, ლობიო, სიმინდის და პურის ფქვილი, ხახვი, კომბოსტო, ბრინჯი, ერბო, ყველი, თაფლი და სხვა. მსურველთ წინადადება ეძლევათ განცხადება შემოიტანონ, პირადათ მოლაპარაკებაც შეიძლება საზოგადოების კანტორაში, ევანგულოვის ქ. № 2, საღამოს 4—6 საათამდე.

**საპიორთა-ბათალიონი**

რომელიც დაბინავებულია ქ. თფილისში (კახეთის ქუჩა, № 95, ყოფილ თფილისის პოლკის სადგომში) იწვევს გამოცდილ უნტერ ოფიცრებს, რომელნიც ირიცხებიან სათადარიგოში, ოცისთავებათ და ზენდეკებათ. საჭიროა ცოდნა: ან საპიორულ ან სატელეგრაფო და სატელეფონო საქმის, აგრეთვე ქართულ ენისა.

პირობები: გარდა ჯარისკაცთათვის დაწესებულ ჯამაგირისა, მიეცემათ დამატებითი ჯამაგირი 250 მანეთი თვეში და ცალკე ოთახი ბათალიონის სადგომში, წლოვანობა არა უმეტეს 36 წლისა. 2—1

**ცენტრალური ბიურო რემინგტონზე მბეჭდავთა**

(ელისაბედის ქუჩა № 39)

ღებულობს ყოველ გვარ საქმის ქაღალდებს, საბეჭდავ მანქანებზე. ქართულ, რუსულ და ლათინურ ენებზე. აქვე მიიღება მოწაფეები ორივე სქესისა. ფასები ყველასთვის ხელმისაწვდომია.

ბიუროს ხელმძღვანელობს ნადია ჭანკვატაძე.

**ცენტრალური სასურსათო საბჭო**

(მადათოვის ქ. № 3 ყოფილი სასურსათო სამინისტრო) ამით აცხადებს საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოდ, რომ მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ ხსენებულ საბჭოში

**მარცვლოვანი მარილი დაწესებულ ფასებში**

მარილის მიღება შეიძლება ქ. თფილისში და ქ. ფოთში. (10—9)